*დანართი №3*

## შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „Natali Academy"-ის მიერ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: გვანცა პაკატილოვი |
| **წევრები:** |
| ლია ხარებავა |
| ნინო ბოკუჩავა |
| თეა ხარაზიშვილი |
| ირმა ორაგველიძე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

----------------------------

--

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება:შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,Natali Academy"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 404441895

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

**დაწესებულების ავტორიზაცია**

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 აგვისტოს N1002010 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,Natali Academy" დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 8,9 და 10 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივი კოლეჯში ,,Natali Academy" (მის: ქ. თბილისი, კოსტავას 67 ). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

## III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

| პროგრამის სახელწოდება | პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვიზაჟისტი | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | იმიტირებული | - | საქართველო თბილისი, კოსტავას N67 - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY |
| ესთეტიკა და კანის მოვლა | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | იმიტირებული | - | საქართველო თბილისი, კოსტავას N67 - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY |
| სტილისტი | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | იმიტირებული | - | საქართველო თბილისი, კოსტავას N67 - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY |
| ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | იმიტირებული | - | საქართველო თბილისი, კოსტავას N67 - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY |

**IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ**

*ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- -----------

--

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| ვიზაჟისტი | 32 | 23 | 2 | 6 |
| კანის მოვლა და სპა პროცედურები | 30 | 22 | 1 | 4 |
| სტილისტი | 40 | 30 | 1 | 3 |
| ფრჩხილის მოვლის სპეციალიტი | 36 | 17 | 1 | 4 |

**V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

*არ გამოვლენილა.*

**ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**
**I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------------

----------------------------------

----------------------------------

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | **■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება** | **■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება** |
| 1.1) პსდ-ს მისია | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | **■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება** | **■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება** |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

---- -------- -----------

--

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **4) ადამიანური რესურსები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

----------------------------

-------------------------------

--

| | | |
|---|---|---|
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.3) ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

--------------------------

--------------------------

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| ვიზაჟისტი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ესთეტიკა და კანის მოვლა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| სტილისტი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

----------------------

--

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

წარმოების ფარგლებში ხარვეზები არ გამოვლენილა.

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

წარმოების ფარგლებში შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

## V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*1-ლი სტანდარტი*

**1.1.1.3** . ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია. ხედვა არის ორგანიზაციის წარმოდგენაში დახატული სასურველი სურათი,რომელიც უნდა გვაძლევდეს საშუალებას დავინახოთ განსხვავება არსებულს და სასურველ მდომარეობას შორის. ხედვა უნდა იყოს კარგად ფორმულირებული, მარტივად გასაგები, მოკლე, უნიკალური, მამოტივირებელი, ამბიციური (არსებულიდან სასურველისკენ), გაზომვადი, დროში გაწერილი და არა ზოგადი. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს ხედვის ფორმულირება ისე,რომ იყოს უფრო მოკლე და განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი აპირებს შემუშვებული ხედვის რეალიზებას.

**მე-5 სტანდარტი**

**5.1.1 11.** ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ - ის 1.5. მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია, **წიგნების და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსის გატანის და დაბრუნების მექანიზმი,** სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს/შექმნას სპეციალური -მკითხველის ფორმულარი/ჟურნალი,სადაც აისახება წიგნადი რესურსის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  --------------------

---------  ----------------

----  --------  ------------

გატანა-დაბრუნების შესახებ ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს წიგნების მოძრაობის სისტემურ აღრიცხვასა და ბიბლიოთეკის რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

მე-2 სტანდარტი

<u>სტილისტი</u>

2.1.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, სტუდენტებთან გაფორმებულია წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე,მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი ვერ აცნობიერებენ მის მნიშვნელობას,ვინაიდან მომსახურების სფერო ამ მხრივ არის უამრავი პირადი ინფორმაციის მატარებელია,სასურველია, სასწავლო თემატიკაში პროფესიული სტუდენტებისათვის დაემატოს -პერსონალურ მონაცემთა დაცვა და მომხმარებლის კონფედეციალურობა.

2.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით. დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, სასურველია პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა სახეობის და უფრო მრავალფეროვანი პროდუქცია ქონდეთ გაცნობის მიზნით და სასწავლო პროცესი იყოს,როგორც ბაზრის აქტიური პროფესიული პროდუქციის შესწავლის წყარო . მართალია ეს საკითხი არ ეწინააღმდეგება სტანდარტს,პროგრამას და მისი განხორციელების ხარისხს,არ აქვს ზეგავლენა სწავლის შედეგების მიღწევაზე,მაგრამ სასურველია კურსდამთავრებული მზად იყოს ბაზარზე ყველაზე მეტად აქტიურად გამოყენებად პროდუქციაზე სამუშაოდ და არ დაჭირდეს დამატებითი დრო და რესურსი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

*<u>ვიზაჟისტი</u>*

2.1.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, *სტუდენტებთან* გაფორმებულია წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე,მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი ვერ აცნობიერებენ მის მნიშვნელობას,ვინაიდან მომსახურების სფერო ამ მხრივ არის უამრავი პირადი ინფორმაციის მატარებელია,სასურველია, სასწავლო თემატიკაში პროფესიული სტუდენტებისათვის დაემატოს -პერსონალურ მონაცემთა დაცვა და მომხმარებლის კონფედეციალურობა.

2.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით. დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, სასურველია პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა სახეობის და უფრო მრავალფეროვანი პროდუქცია ქონდეთ გაცნობის მიზნით და სასწავლო პროცესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------                    ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----                    -------------------

---------                    ----------------

----                    --------                    ------------
--

იყოს,როგორც ბაზრის აქტიური პროფესიული პროდუქციის შესწავლის წყარო . მართალია ეს საკითხი არ ეწინააღმდეგება სტანდარტს,პროგრამას და მისი განხორციელების ხარისხს,არ აქვს ზეგავლენა სწავლის შედეგების მიღწევაზე,მაგრამ სასურველია კურსდამთავრებული მზად იყოს ბაზარზე ყველაზე მეტად აქტიურად გამოყენებად პროდუქციაზე სამუშაოდ და არ დაჭირდეს დამატებითი დრო და რესურსი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy მიერ წარმოდგენილი კორესპონდეციით (2025 წლის 08 ოქტომბრის წერილი N19111) დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.*

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება**

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

--

1. **პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy მისიაა, მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სილამაზის ინდუსტრიის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალიტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისის შეთავაზებას. მისიიდან ნათლად სჩანს პროფესიული განათლების ეროვნული მიზნები, რაც დაკავშირებულია ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასთან. კოლეჯის მისია პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს როგორიცაა: რისთვის არსებობს ორგანიზაცია, ვინ არის მომხმარებელი და რომელი კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილებას ცდილობს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.**

კოლეჯის მისიაში ასახულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულება (პროფილი). დაწესებულების უნიკალურობა და განმასხვავებელი ნიშა დასტურდება იმით, რომ სილამაზისა და ესთეტიკის ინდუსტრიის მიმართულებით პროგრამების ყველა ასორტიმენტს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს, როგორც სადიპლომო, ასევე მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კუთხით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.**

კოლეჯის ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და წარმოადგენს დაწესებულების მომავლის სურათს.დაწესებულების ხედვაა: შექმნას ერთიანი საგანმანათლებლო და საწარმოო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს პირის პროფესიულ და ინდივიდუალურ განვითარებას, შესთავაზებს ყველა დაინტერესებულ მხარეს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებასა და აკადემიაში დასაქმებული პირებისათვის შექმნის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, ამასთანავე ადაპტირებას მოახდენს შექმნას ინკლუზიური და თანასწორუფლებიანი გარემო და ამით ხელს შეუწყობს სილამაზის მომსახურება გახდეს ხელმისაწვდომი ყველა ფენისათვის.

კოლეჯის ღირებულებებია :

- *ხარისხზე ორიენტირებულობა*
- *მომხმარებელზე ორიენტირებულობა*
- *განვითარებაზე ორიენტირებულობა*
- *გუნდურობა*
- *პროფესიონალიზმი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

- *ტოლერანტობა*
  *1.1.1.3 . ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია. ხედვა არის ორგანიზაციის წარმოდგენაში დახატული სასურველი სურათი,რომელიც უნდა გვაძლევდეს საშუალებას დავინახოთ განსხვავება არსებულს და სასურველ მდომარეობას შორის. ხედვა უნდა იყოს კარგად ფორმულირებული, მარტივად გასაგები, მოკლე, უნიკალური , მამოტივირებელი, ამბიციური (არსებულიდან სასურველისკენ), გაზომვადი, დროში გაწერილი და არა ზოგადი. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს ხედვის ფორმულირება ისე,რომ იყოს უფრო მოკლე და განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი აპირებს შემუშვებული ხედვის რეალიზებას.*

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ, ისინი იცნობენ მას და ჩართული იყვნენ მისი შემუშავების პროცესში. სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ როგორ შიდა ასევე, გარე დაინტერესებული პირები. აღნიშნული დადასტურებულია მათთან ინტერვიუს გზით. მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, როგორც დაწესებულებაში, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე გამოქვეყნებულია ვებ- გვერდზე nataliacademy.ge.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ვებ. გვერდზე გამოქვეყნებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ფოტომასალა;
- დაწესებულების ფიზიკურ სივრცეში განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ინტერვიუირება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------[signature]----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----[signature]------------------

---------[signature]----------------

----[signature]--------[signature]-----------
--

- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Academy Academy - ს 2022 წლის 22 თებერვლის №08 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (ბოლო ცვლილება შეტანილია 2023 წლის 14 აგვისტოს №77 ბრძანებით)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

რომელიც მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას (მუხლი 7), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გაზიარების (მუხლი 8), მონიტორინგის, შეფასების მექანიზმებსა და სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის შედგენის წესებს (მუხლი 10). ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს 7 წლიან ციკლს, რომელსაც თან ერთვის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული გეგმის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ (რომელსაც ქმნის და ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი) და ითვალისწინებს დოკუმენტების შექმნის პროცესში დაინტერესებული პირების აქტიურ ჩართულობას. შემუშავების პროცესი მოიცავს პროექტების გაზიარებას დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღებას. სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებები დასაშვებია და იგი უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის დასაბუთებას. მიზეზი შეიძლება იყოს: კანონმდებლობის ცვლილება, ეროვნულ დონეზე ახალი სტრატეგიების დამტკიცება, კოლეჯის მისიის შეცვლა, კოლეჯის მენეჯმენტის შეცვლა, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგები, რომელიც აჩვენებს, რომ ზოგიერთი მიზნის მიღწევა არაა შესაძლებელი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ან აღარაა რელევანტური და სხვ. სამოქმედო გეგმა შეიძლება შეიცვალოს გეგმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე, მისიაში/ხედვაში/სტრატეგიულ გეგმაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების შედეგად და სხვა.სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ გაზიარებისათვის მოქმედებს დოკუმენტის მუხლი 4-ში გაწერილი მექანიზმები. გეგმის გაზიარება ხდება შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისათვის შემდეგი გზით: კოლეჯის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. აკადემია ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას, სამოქმედო ერთწლიანი გეგმის შუალედური შეფასება ხორციელდება 6 თვეში ერთხელ, ხოლო საბოლოო შეფასება სამოქმედო გეგმის დასრულებისას (ბოლო თვეს). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ - ასევე სამოქმედო გეგმების წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. დირექტორთან შეთანხმებული ანგარიში განთავსდება კოლეჯის ვებგვერდზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა. „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ----------------

---- -------- -----------

--

დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას, პროცედურას, პროცესის აღწერასა და განსაზღვრავს ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის მეთოდს. წარმოდგენილია შეხვედრის ოქმები და შეხვედრის მასალები, ასევე ინტერვიუირებით გამოიკვეთა პერსონალის ჩართულობა დოკუმენტაციის შემუშავებაში პროცესში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“-ში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება 4 მიდგომას. მათ შორის არის „გუნდურობა - სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, რაც ნიშნავს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება კოლეჯის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით“ და „ქვეყნის/რეგიონის/თემის ინტერესების გათვალისწინება - კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის/დარგის პრიორიტეტებს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დაწყებისას, სამუშაო ჯგუფი შეხვედრა(ებ)ზე განიხილავს დოკუმენტ(ებ)ს და საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს მათ.“ სამუშაო ჯგუფის წევრი არის დაინტერესებული მხარე (5.2) ვინც უშუალოდ ჩაერთვება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სამუშაო დოკუმენტების შექმნაში. დაინტრესებული მხარე შეიძლება იყოს: შიდა - კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები და სხვ; გარე-კოლეჯის კურსდამთავრებულები, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/საწარმოები, დამსაქმებლები, დონორი ორგანიზაციები, სოციალური და საერთაშორისო პარტნიორები და სხვ. (4.1.1, 4.1.2). სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავების შემგომ პროექტი ზიარდება დაინტერესებული მხარეებისთვის (8.2.2) უკუკავშირის მისაღებად.

2023 წელს სტრატეგიული გეგმაში განხორციელდა ცვლილებები (2023 წლის 07 სექტემბრის ,N86 ბრძანება), კერძოდ მოხდა დაწესებულების ხედვის ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:,,შექმნას ერთიანი საგანმანათლებლო და საწარმოო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს პირის პროფესიულ და ინდივიდუალურ განვითარებას, შესთავაზებს ყველა დაინტერესებულ მხარეს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებასა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- ----------

--

აკადემიაში დასაქმებული პირებისათვის შექმნის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, ამასთანავე ადაპტირებას მოახდენს შექმნას ინკლუზიური და თანასწორუფლებიანი გარემო და ამით ხელს შეუწყობს სილამაზის მომსახურება გახდეს ხელმისაწვდომი ყველა ფენისათვის“ , ღირებულებების ჩამონათვალში ჩაემატა ,,ტოლერანტობა“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებითა და ინტერვიუებით დადასტურებულია, რომ ცვლილებები განხორციელებულია შიდა რეგულაციის დაცვით ( შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Academy Academy - ს 2022 წლის 22 თებერვლის №08 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად) და ასევე დაწესებულებას გააზრებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების თანამონაწილეობითი პრინციპი და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. დაწესებულების ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ თანახმად სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან ერთად ამუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია მიზნები, რომლებიც თავსებადია დაწესებულების მისიასთან. გეგმაში მოცემულია 4 სტრატეგიული მიზანი, შესაბამისი, ამოცანები და განხორვიელების ვადები. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მიზნისა და ამოცანის შესაბამისი აქტივობები და განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ----------------

--- -------- ----------

--

- ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (2022 წლის 22 თებერვლის N8 ბრძანება, უკანასკნელი ცვლილება -ბრძ. N77 14.08.2023)
- სტრატეგიული გეგმა (2022 წლის 22 თებერვლის N08 ბრძანება, ცვლილება -ბრძ. N86 07.09.2023)
- 2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- ბრძანება სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

„სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები და ვადები, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სამოქმედო ერთწლიანი გეგმის მონიტორინგს და შუალედურ შეფასებას ახორციელებს 6 თვეში ერთხელ, ხოლო საბოლოო შეფასებას სამოქმედო გეგმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასრულებისას (ბოლო თვეს). სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს სამ წელიწადში ერთხელ - ასევე სამოქმედო გეგმების წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.

კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 ნოემბრის MES 7 22 0001503946-ის ბრძანების შესაბამისად, დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ჩატარების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, განახორციელეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის არაგეგმიური მონიტორინგი, ვიზიტის დროს მოხდა სტატეგიული და სამოქმედო გეგმის არაგეგმიური მონიტორინგის ანგარიშის დოკუმენტის გაცნობა, სადაც გათვლისწინებული იყო ავტროზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენტაციები.

ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ბოლო ორი წლის სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო ანგარიშები.

ანგარიშები ორიენტირებულია გეგმის ამოცანების შესრულების მონიტორინგზე და ფასდება შემდეგი მიმართულებით: შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, პროცესშია, ვერ შესრულდა. შესრულების შემთხვევაში მითითებულია შესრულების მტკიცებულება, ხოლო ნაწილობრივი ან ვერ შესრულების შემთხვევაში მოცემულია ვრცელი კომენტარი გარემოებისა და მიზეზების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების შედეგებზე კომპლექსურ რეაგირებას. შეფასების შედეგები შესაძლოა გახდეს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების ინიცირების საფუძველი. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა,რომ კოლეჯი შეფასების შედეგებს იყენებს შემდგომი განვითარების მიზნით და მაგალითად მოიყვანა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 ნოემბრის MES 7 22 0001503946 -ის ბრძანებით შექმილ ექსპერტა ჯგუფის მიერ მონიტორინგის დასკვნისა და ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის დასკვნაზე , სათანადო რეაგირების მოხდინეს ფაქტი, რის საფუძველზეც განმეორებითი მონიტორინგის დროს დადებითად შეფასდა ყველა მათი გამოწვევა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------ბ. ბაკურ-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ლ. ხარ --------------------

--------- ნ. ---------------

----თ. ხახ--------- -----------
--

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად კოლეჯი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის საჯაროობას. დირექტორთან შეთანხმებული ანგარიში თავსდება აკადემიის ვებგვერძე. გარდა ამისა, რეგულაციაში აღწერილია მკაფიო პროცედურა, რომ ანგარიში ჯერ მზადდება სამუშაო ჯგუფის მიერ, შემდეგ წარედგინება დირექტორსა და საბოლოოდ გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი.

ზემოაღნიშნულს თუ შევაჯერებთ, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესი არა მხოლოდ ადასტურებს სამოქმედო გეგმის ანგარიშის საჯარო ხელმისაწვდომობას, არამედ აწესებს კონკრეტულ მექანიზმებს ანგარიშის ფორმირებისა და გავრცელებისთვის, რაც სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. ვიზიტის პროცესში ვებ. გვერდზე განთავსებული იყო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები წლების მიხედვით. ასევე, კოლეჯი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს საჯაროდ აცნობს დაინტერესებულ მხარეებს, პროფესიულ მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს და ა.შ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (2022 წლის 22 თებერვლის N8 ბრძანება, უკანასკნელი ცვლილება -ბრძ. N77 14.08.2023)
- სტრატეგიული გეგმა (2022 წლის 22 თებერვლის N8 ბრძანება, ცვლილება -ბრძ. N86 07.09.2023)
- 2024- წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- ბოლო 2 წლის სამოქმედო გეგმის შუალედური და წლიური ანგარიშები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის არაგეგმიური მონიტორინგის ანგარიში;
- ოქმები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- -----------

--

- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება**

**3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

--------------------------

--------------------------

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 1 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“-ს დოკუმენტით განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მის ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, მიღებული შეფასების გასაჩივრების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის, აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების დადების საკითხები. დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან, შეუზღუდავი წვდომა ჰქონდეთ და ისარგებლონ აკადემიის ინფრასტრუქტურით, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით და პროფესიული სტუდენტებისათვის სპეციალურად გამოყოფილი, შესაბამისად აღჭურვილი სივრცეებით. აღნიშნული წვდომა შეუზღუდავად ხორციელდება აკადემიის სამუშაო დროს და მათი გამოყენება უქმე და დასვენების დღეებში დასაშვებია, ადმინისტრაციასთან წერილობითი შეთანხმებით.

პროფესიული მომზადება და გადამზადების პროგრამების მსმენელთა უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის მართვის წესი“, დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2024 წლის 19 აპრილის N29 ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს, მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, ორგანიზებული შერჩევის პროცედურის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სარგებლობის, სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესში სრული ინტეგრირებისათვის შესაბამისი ადამიანური/მატერიალური/საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობის, მსმენელის მიღწევის შეფასებისა და მიღებული შეფასების გასაჩივრების შესახებ მექანიზმებს.

სტუდენტების/მსმენელების უფლებების შესახებ ჩანაწერებს მოიცავს ასევე, შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 2 აგვისტოს N59 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი”. რეგულაციის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია ისარგებლოს აკადემიის საბიბლიოთეკო რესურსითა და სერვისით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით, მოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტის ასლის გადაღება, მოითხოვოს ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსის ჩაწერა CD დისკზე ან ინფორმაციის სხვა ელექტრონულ მატარებელზე, გამოთქვას და გამოხატოს თავისი აზრი, შეხედულება, ინტერესები, სურვილები ბიბლიოთეკის საქმიანობის და ხარისხის შესახებ. გარდა ამისა, შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს N64 ბრძანებით (ცვლილებები დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 11ივლისის N96 ბრძანებით) დამტკიცებული „მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმები“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ (პროფესიული განათლების მასწავლებლის/ ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ) აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიით/სასწავლო სახელოსნოებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსების გამოყენების უფლებამოსილების საკითხებს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. ასევე, წესი ითვალისწინებს, სტუდენტების/მსმენელების მიერ შენობაში არსებული ფოიეთი, სველი წერტილებით, გათბობითა და სავენტილაციო სისტემებით, შემოქმედებითი საქმიანობისათვის შესაბამისი სივრცეებით სარგებლობის შესაძლებლობებს. დამატებით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

-------------------------

-------------------------------

2023 წლის 8 აგვისტოს N66 ბრძანებით დამტკიცებული „IT (ინფორმაციის ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები“ უზრუნველყოფს ყველა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ აკადემიის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობას.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებების დაცვასა და გარანტიების შესრულებას და სრულ თანხვედრაშია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N53 ბრძანებით (ცვლილება დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 19 აგვისტოს N116 ბრძანებით) დამტკიცებულ დოკუმენტთან „შინაგანაწესი“, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს სტუდენტის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების, აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის, ცოდნის სამართლიანი შეფასების მოთხოვნის, არასათანადო მოპყრობისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის, საკუთარი აზრის გამოთქმის, აკადემიაში დასაქმებული პირის ან/ და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის არამართლზომიერი ქმედების გასაჩივრების, მის კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე დროული და უტყუარი ინფორმაციის მიღებისა და აკადემიის კურიკულუმის გარეშე აქტივობებში მონაწილეობის მიღების უფლებას.

### 3.1.1.1. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის N85 (02.07.2025 წ.) ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილებები დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 21 აგვისტოს N119 ბრძანებით) „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები-დებულება“ დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კოლეჯის საგანმანთლებლო სივრცეში სრულფასოვანი ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობაზე, რისთვისაც გეგმავს და ახორციელებს საორიენტაციო (Welcome) შეხვედრას კოლეჯში სწავლის დაწყებისთანავე. შეხვედრის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებების/ვალდებულებებისა და კოლეჯში არსებული მხარდაჭერის/დახმარების შესაძლებლობის შესახებ. აკადემიის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (საინფორმაციო შეხვედრის ამსახველი ფოტო მასალა, პრეზენტაციები, შეხვედრებზე დასწრების აღრიცხვის ფორმა) დასტურდება, რომ მსგავსი საინფორმაციო შეხვედრები პერმანენტულ ხასიათს ატარებს დაწესებულებაში და მასში აქტიურად ჩართულები არიან როგორც, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ასევე, ბიბლიოთეკარი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

სტუდენტთა ინფორმირებულობას მათი უფლებების შესახებ ასევე ასაბუთებს პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ფორმალური განათლების აღიარების დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის პროცედურებიც სრულ თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან. მიმდინარე პერიოდში დაწესებულებას აქვს 5 სტატუსის შეჩერების, 17 სტატუსის შეწყვეტისა და 9

ფორმალური განათლების აღიარების შემთხვევა (წარმოდგენილი მონაცემები ასახავს 2024 და 2025 წლებში ჩარიცხული სტუდენტების სტატუსის დინამიკას).

გარდა ამისა, დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებით დადასტურდა, რომ სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტებს პრეზენტაციის სახით მიეწოდებათ ინფორმაცია აკადემიის მისიის, ხედვის, სტრატეგიული მიზნებისა და სტუდენტთა უფლებების შესახებ, მათივე თქმით, მსგავსი საინფორმაციო შეხვედრები პერიოდულად იმართება აკადემიაში. სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ თავისუფალი წვდომა აქვთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, საინფორმაციო საშუალებებზე, ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსებზე თუ სტუდენტურ სივრცეებზე. დამატებით, დეტალური ინფორმაცია საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე.

სტუდენტთა მაღალი ინფორმირებულობის დონეს ადასტურებს პროფესიული სტუდენტის კარიერის დაგეგმვისა და მხარდაჭერის მენეჯერის მიერ 2025 წელს ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებიც, რომლის მიხედვით სტუდენტების დიდი უმრავლესობა (91%) ფლობს ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ, რაც მიუთითებს ორგანიზაციაში ეფექტური საინფორმაციო კომუნიკაციის არსებობაზე.

აღსანიშნავია, დაწესებულებას არ ჰქონია სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესახებ მიმართვის გამოცდილება.

### 3.1.1.2. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს საკუთარი შეფასების შედეგები ეცნობება ინდივიდუალურად — ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და ინდივიდუალური გასაუბრებით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი შეფასების შედეგს არასამართლიანად მიიჩნევს, მას უფლება აქვს, გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს სასწავლო პროცესის მენეჯერს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა. სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას სტუდენტთან და შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელ პროფესიულ განათლების მასწავლებელთან ერთად. თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, დაწესებულება ქმნის კომისიას, რომელიც იკრიბება საჭიროების დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. ამავე დოკუმენტის თანახმად, თუ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ დაადასტურა კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგი (რომელიც სხვა მოდულის წინაპირობას წარმოადგენს), მას უფლება აქვს, სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით სცადოს შედეგის დადასტურება. ერთი მცდელობის შემდეგაც თუ შედეგი დაუდასტურებელი დარჩება ან სტუდენტი გამოცდაზე არ გამოცხადდება, ის ვალდებულია ხელახლა გაიაროს შესაბამისი მოდული, რაც გულისხმობს მოდულით განსაზღვრული საათების ანაზღაურებას. თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობას არ წარმოადგენს, სტუდენტს შეუძლია შესაბამისი შედეგი დაადასტუროს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის მართვის წესის თანახმად, მსმენელს უარყოფითი შედეგის მიღების ან გამოცდაზე არგამოცხადების შემთხვევაში უფლება აქვს განმეორებით დაადასტუროს სწავლის შედეგები პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა. ამასთან, მსმენელს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული შეფასება (აპელაცია). ასეთ შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 2 სამუშაო დღის ვადაში მსმენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/განუხილველობის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში კომისია ნიშნავს განმეორებით შეფასებას, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღეში ეცნობება მსმენელს ინდივიდუალურად.
2025 წელს ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო სტუდენტების მიერ ზოგადი აკადემიური გამოცდილების შეფასება, დადგინდა, რომ სტუდენტების უმრავლესობა (76%) სრულად იცნობს პროგრამის მიზანს, შინაარსს, მოდულებს, შესაბამის კალენდარულ გეგმებს, სასწავლო რესურსებსა და შეფასების სისტემას. 19% აღნიშნულ საკითხებზე მხოლოდ ნაწილობრივ ფლობს ინფორმაციას, ხოლო 5% საერთოდ არ არის ინფორმირებული. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა რეკომენდაციად განსაზღვრა თითოეული პროგრამის ფარგლებში სტუდენტის გზამკვლევის/პრეზენტაციის შემუშავება. გზამკვლევში წარმოდგენილი იქნება ყველა აუცილებელი ინფორმაცია, მათ შორის შეფასების სისტემის დეტალური აღწერა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდას და მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას სასწავლო პროცესში.
სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ. თითოეული მოდულის ფარგლებში სტუდენტებს წინასწარ ეცნობებათ ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებზე. გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იციან შედეგების გასაჩივრების უფლების შესახებ, მათ შორის საჩივრის წარდგენის ვადები და პროცედურული წესები. სტუდენტების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში არ ჰქონიათ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევა, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცედურა მკაფიოდ არის განსაზღვრული შიდა დოკუმენტებში და ინფორმაცია მიეწოდათ როგორც პრეზენტაციების, ისე საორიენტაციო შეხვედრების ფარგლებში.
აღსანიშნავია, რომ პერსონალთა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აკადემიაში ამ ეტაპზე პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევა არ დაფიქსირებულა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობაზე, რაც ზრდის სტუდენტთა ნდობას ადმინისტრაციისა და პროფესიული მასწავლებლების მიმართ.

### 3.1.1.3. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  ------------------

---------  --------------

----  --------  ----------
--

სასწავლო პროცესის მარეგული მექანიზმების შესაბამისად, აკადემია მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში, აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს/ მხარდამჭერს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.
პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის მართვის წესის შესაბამისად, ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს მსმენელის სტატუსის მოპოვების მიზნით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ხოლო დაწესებულება უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭებას, რაც დასტურდება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;
პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, კანონიერი წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში მის მონაცემებს, ტერმინთა განმარტებებს, ხელშეკრულების საგანს, პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და ვალდებულებებს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობებს, აკადემიის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს, სწავლის ღირებულებისა და ანგარიშსწორების წესს, აგრეთვე ხელშეკრულების მოქმედების ვადას. ამასთან, თითოეულ ხელშეკრულებას თან ერთვის მხარეთა ხელმოწერები,მათ შორის, არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერას, რაც უზრუნველყოფს შეთანხმების სამართლებრივ ძალას.

### 3.1.1.4. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აკადემიას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და ადმინისტრირების მკაფიოდ დადგენილი პროცედურები აქვს, რომლებიც ითვალისწინებს სსსმ სტუდენტების საჭიროებებსა და მათთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას. სასწავლო პროცესის მარეგული მექანიზმების მე-6 თავით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და ადმინისტრირების პროცედურები. მარეგულირებლის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება მაშინ როცა: სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან; პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა (არაუმეტეს ამ წესის 31-ე მუხლის „ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობისა) და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების სხვა დადასტურების შემთხვევები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------ --------------------

------------ ----------------

---- -------- ------------

--

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტ(ებ)ის ჩართულობით 5 სამუშაო დღის განმავლობაში, რომელსაც წარუდგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისობის შემთხვევაში ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის დირექტორს.

სსსმ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვისა და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, აკადემია უზრუნველყოფს როგორც სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის, ასევე, სასწავლო რესურსების ადაპტირების გზით, საჭიროების შემთხვევაში.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2 პროფესიული სტუდენტის შემთხვევა, რომლებსაც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებით უდასტურდებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. მათ შორის, ერთ-ერთ სტუდენტს სენსორული დარღვევა (სმენის დაქვეითება), ხოლო მეორეს შემეცნებითი სირთულეები და სწავლის სირთულეები, თუმცა პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ სტუდენტების აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასების ანკეტებით გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ საჭიროებდნენ ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დახმარებას და დამატებით რესურსს. შესაბამისად, დაწესებულებაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.

### 3.1.1.5. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები;
- პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს/მის კანონიერ წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში ;
- თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები-დებულება;
- პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის მართვის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმები;
- IT (ინფორმაციის ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები;
- შინაგანაწესი;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- საინფორმაციო შეხვედრების ამსახველი ფოტო მასალა, პრეზენტაციები, შეხვედრებზე დასწრების აღრიცხვის ფორმები;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტი, ფორმალური განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებელი ხელშეკრულებები;
- პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------------

---------------------------------

-----------------------------------

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევის შესახებ, კერძოდ, სტუდენტებს საკუთარი შეფასების შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და ინდივიდუალური გასაუბრებით. ასევე, შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N56 ბრძანებით (ცვლილებები დამტკიცებულია: შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 05 აგვისტოს N110 ბრძანებით) დამტკიცებული "სტუდენტური სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები" არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის საკითხებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით რამდენიმე მექანიზმი ფუნქციონირებს კოლეჯში, მათ შორის, პროფესიული მასწავლებლების მიერ ორგანიზებული საკონსულტაციო შეხვედრები იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის შედეგის მიღწევების თვალსაზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პერიოდულად, ორგანიზებას უწევენ პროფესიულ სტუდენტებთან ჯგუფურ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც იკვეთება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და აღნიშნულის მიხედვით იგეგმება სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობათა განხორციელება. დამატებით, პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის (არსებობის შემთხვევაში) მიერ მომართვის შემთხვევაში, მომართვიდან ორი დღის განმავლობაში სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, გეგმავენ შეხვედრას აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც განიხილავენ მის/მათ საჭიროებებს, უწევენ კონსულტაციებს და შესაბამისად რეაგირებენ.

ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დაადგინა, რომ ისინი სისტემატურად იღებენ კონსულტაციებს და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებისამებრ რჩებიან ლექციების შემდეგ ან წინასწარ შეთანხმებული დროის მიხედვით იღებენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს მასწავლებლებისგან. აგრეთვე, შესრულებული დავალებების (ტესტები, პრაქტიკული სავარჯიშოები და ა.შ.) საფუძველზე იღებენ განმავითარებელ შეფასებებს, რაც ეხმარებათ შემდგომში დავალებების უფრო ეფექტურად შესრულებაში. აღნიშნული მექანიზმები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და პიროვნული განვითარების ხელშეწყობას სასწავლო პროცესში.

### 3.2.1.1. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სტუდენტური სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების თანახმად, დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას სწავლების ნებისმიერ ეტაპზე. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესზე პასუხისმგებელია აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, კერძოდ, მიღებულ პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

სტუდენტთა ყველა ნაკადის პირველივე სასწავლო დღეს ის გეგმავს და უზრუნველყოფს მათთან გაცნობით შეხვედრას, რომლშიც მონაწილეობენ კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეხვედრის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს აკადემიის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, საქმიანობის ძირითად პრინციპებს, აკადემიის სერვისებსა და ზოგადად არსებულ შესაძლებლობებს, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და ვალდებულებებს, სასწავლო პროცესის თავისებურებებს, ქცევისა და ეთიკის ნორმებს, უსაფრთხოებისა და სხვა წესებს. აღნიშნული შეხვედრა სრულდება აკადემიის შენობაში ექსკურსიის მოწყობით. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პასუხისმგებელია პერიოდულად, ორგანიზება გაუწიოს პროფესიულ სტუდენტებთან ჯგუფურ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც გამოიკვეთება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და აღნიშნულის მიხედვით დაიგეგმება სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობათა განხორციელება.

აკადემიის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ფოტომასალა, პრეზენტაციები, შეხვედრებზე დასწრების აღრიცხვის ფორმები) ხაზს უსვამს, რომ პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სისტემატურად აორგანიზებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტთა ადაპტაციის ხელშეწყობას სასწავლო გარემოში.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები პერიოდულად მართავენ შეხვედრებს პროფესიულ სტუდენტებთან. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ, ასევე სხვა მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტთა უფრო აქტიურ ჩართულობას აკადემიის ცხოვრებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, პროფესიული სტუდენტების კარიერული დაგეგმვისა და მხარდაჭერის მენეჯერის მიერ 2025 წელს ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები, რომლებმაც აჩვენა მკაფიოდ დადებითი ტენდენცია: სტუდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (100%) აღნიშნა, რომ ადაპტაციის პროცესში პროფესიული მასწავლებელი ან ადმინისტრაციის წარმომადგენელი მათ აქტიურად უჭერს მხარს და უწევს დახმარებას. ზემოთ მოყვანილი მონაცემი ადასტურებს, რომ დაწესებულება წარმატებით ახორციელებს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა სწრაფ და კომფორტულ ინტეგრაციას სასწავლო გარემოში.

### 3.2.1.2. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

სტუდენტური სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ცნობის გაცემა - მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესების დროულად დაკმაყოფილებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- -----------
--

პროფესიული სტუდენტების კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის მენეჯერის მიერ 2025 წელს ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ სტუდენტთა დამოკიდებულება ადმინისტრაციული პერსონალისადმი ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურია. რესპონდენტების უმრავლესობამ (88%) აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული პერსონალი გამოირჩევა სამართლიანობით, კეთილგანწყობითა და პროფესიონალიზმით, რაც მათთვის კომფორტულ და მხარდამჭერ გარემოს ქმნის. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული მომსახურება არა მხოლოდ ტექნიკურ ფუნქციას ასრულებს, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტთა მოტივაციისა და აკადემიური წარმატების ხელშეწყობაში.
არსებული პრაქტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები ადმინისტრაციასთან მიმართვის შემთხვევაში საჭირო დოკუმენტებსა და ინფორმაციას გონივრულ ვადაში იღებენ. პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს ვადა 1-დან 3 სამუშაო დღემდე მერყეობს, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს ადმინისტრაციულ პროცედურებს და ზრდის სტუდენტთა კმაყოფილების დონეს.
სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციული პერსონალი მყისიერად რეაგირებს მათ მიმართვეზე. სტუდენტების თქმით, კითხვებზე პასუხს, პრობლემის გადაჭრას ან მოთხოვნილ დოკუმენტაციას იღებენ არამხოლოდ განსაზღვრულ ვადებში, არამედ ზოგჯერ იმავე დღესაც, რაც მათთვის კომფორტისა და მხარდაჭერის დამატებით შეგრძნებას ქმნის.

### 3.2.1.3. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

სტუდენტური სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების თანახმად, აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების (საპოროქტო განცხადების საფუძველზე) მხარდაჭერას შესაბამისი დაფინანსების გამოყოფით, აღსანიშნავია, საპროექტო განცხადებების წარდგენის შესაძლებლობა სტუდენტებს მთელი წლის განმავლობაში აქვთ. დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აკადემია, კერძოდ, პროექტის განხორციელებაში აქტიურად ერთვება აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რაც შეეხება პროექტის ფინანსურ ნაწილს, აღნიშნული მიმართულებით ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია აკადემიის ფინანსური მენეჯერი. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისების მიზნით აკადემია საკუთარი ინიციატივითაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა არაფორმალურ აქტივობათა დაგეგმვა-განხორციელებას, რომლის ფარგლებში აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრების ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სხვადასხვა ექსტრაკურიკულურ ღონისძიებას.
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ აკადემია რეგულარულად სთავაზობს სტუდენტებს საკვანძო კომპეტენციების გამომუშავების შესაძლებლობას ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, რისთვისაც რთავს მათ ისეთ ექსტრაკურიკულურ აქტივობებში როგორიც არის პროფესიის მიმართულებით კონკურსები (მაგალითად, მოდის ინდუსტრიის კონკურსი Silk Factory),სემინარები, მასტერკლასები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

----  --------  -----------

--

საერთაშორისო კონგრესები (მაგ: სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა Natali Group-ის მიერ ორგანიზებულ კონგრესში „ლატერული ტექნოლოგიები მედიცინაში“ ) და სხვა. გარდა არაფორმალური განათლების სახით მხარდაჭერისა, აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას სოციალურ, შემოქმედებით, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, რაც ამდიდრებს მათ გამოცდილებას და ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას.
2024 წელს დაწესებულებამ ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო სტუდენტთა კმაყოფილების დადგენა აკადემიის მიერ ორგანიზებული ექსტრაკურიკულური აქტივობების მიმართ. შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიებები. კონკრეტულად, რესპონდენტთა 70% გამოხატავდა ინტერესს კულტურული ღონისძიებების მიმართ, 49% – სოციალური აქტივობებისადმი, 47% – სპორტული ღონისძიებებისადმი, ხოლო 13% აღნიშნავდა შემოქმედებით მასტერკლასებში ჩართვის სურვილს. შედარებით დაბალი ინტერესი დაფიქსირდა სემინარების მიმართ (3%). გამოკითხულთა 10%-მა აღნიშნა, რომ საერთოდ არ აქვს სურვილი მსგავს აქტივობებში მონაწილეობის. აღნიშნული შედეგები ადასტურებს, რომ სტუდენტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მოთხოვნადია სოციალური, კულტურული და სპორტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტური გარემოს გამრავალფეროვნებას და საერთო სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას.
2025 წელს ჩატარებული პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა (57%) ფლობდა ინფორმაციას და აქტიურად იყო ჩართული აკადემიის ორგანიზებით განხორციელებულ სხვადასხვა ტიპის არაფორმალური განათლების მხარდამჭერ ღონისძიებებში, ამასთან, 14%-მა აღნიშნა, რომ თავად ჰქონია ინიციატივა ამ მიმართულებით. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტთა ნაწილი არა მხოლოდ იღებს მონაწილეობას დაწესებულების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, არამედ თვითონაც იჩენს ინიციატივას, რაც პოზიტიურად აისახება მათ პროფესიულ განვითარებაზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განისაზღვრა რეკომენდაცია არაფორმალური ღონისძიებების წლიური კალენდარის შემუშავების, სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდისა და მოტივაციისა და ჩართულობის წამახალისებელი პროგრამების დანერგვის შესახებ. აღნიშნული რეკომენდაცია მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, სტუდენტებისათვის შეთავაზებული შესაძლებლობების სისტემატიზაციასა და უფრო თანმიმდევრულად წარმოჩენას, ხოლო მეორეს მხრივ, სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის ხარისხის გაზრდას, მათ ინტერესებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვასა და სტუდენტური ცხოვრების კიდევ უფრო გამრავალფეროვნებას.
ექსპერტთა მიერ სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტებს ნაკლებად ჰქონიათ ინიციატივა დამატებითი /არაფორმალური აქტივობების შეთავაზების თვალსაზრისით, თუმცა ისინი ინფორმირებულნი არიან და მონაწილეობა მიუღიათ არაერთ არაფორმალური განათლების აქტივობაში, რომელიც განხორციელდა აკადემიის ორგანიზებით ან მისი მხარდაჭერით.

**3.2.1.4. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია**

5. *პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  -------------------

---------  ---------------

----  --------  ----------
--

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N54 ბრძანებით (ცვლილებები დამტკიცებულია:1.შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს N73 ბრძანებით; 2.შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის N 67 ბრძანებით) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები" განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის და კურსდამთავრებულის კვლევის მიზნებს, მიმართულებებსა და სიხშირეს. დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი აფასებენ კოლეჯის ინფრასტრუქტურას, მატერიალურ და საინფორმაციო რესურსებს, სასწავლო პროცესს, სწავლის შედეგების მიზნობრიობას, სწავლის მეთოდებს, შეფასების ფორმებსა და მეთოდებს, პრაქტიკულ კომპონენტს, სასწავლო რესურსებს (მასალები, ლიტერატურა), სასწავლო და სამუშაო (პარტნიორ ორგანიზაციებში) გარემოს, პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციას, ასევე, კითხვარის საშუალებით სტუდენტები აფიქსირებენ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და რეკომენდაციებს. კურსდამთავრებულები კი აფასებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და სწავლის შედეგების მიღწევას, მიღებული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით კმაყოფილებას, რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები, რამდენად დასაქმდნენ შეძენილი ცოდნითა და უნარებით პროფესიის შესაბამისად. კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება წელიწადში ერთხელ, ხოლო პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კვლევა ტარდება საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის პროცესში ერთხელ. ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი ყველა კითხვარის ჩატარების საფუძველზე მომზადებულ ანალიზსა და განვითარების გეგმას წარუდგენს დირექტორის მოადგილეს. საჭიროების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი გეგმავს და ატარებს დაინტერესებულ პირებთან ფოკუს ჯგუფებს, შეხვედრაზე მიღებული ინფორმაცია დამუშავდება და მზადდება ანგარიშის სახით.

2023 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სტუდენტების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების საფუძველზე განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები: გამოცდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის განისაზღვრა მინიმუმ 5 დღით ადრე, გაუმჯობესდა სასწავლო გარემოს გაგრილების სისტემა, გაიზარდა კომპიუტერების რაოდენობა, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, სასწავლო გეგმაში ცვლილებები განხორციელდა იმდაგვარად, რომ ზოგად მოდულებთან ერთად მეტი აქცენტი გაკეთდა დარგობრივ მოდულებზე, ვიზაჟის პროგრამის მიმართულებით კი დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისი რაოდენობის მოდელები. აღნიშნული ცვლილებები ნათლად ასახავს, რომ აკადემია შესაბამისად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და აქტიურად იყენებს კვლევის შედეგებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

### 3.2.1.5. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- სტუდენტური სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

--

- ექსტრაკურუკულური აქტივობების ჩატარების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალები;
- პსდ-სგან გაწეული მომსახურების თაობაზე პროფესიული სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების, დამუშავების და რეაგირების მტკიცებულებები;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიზი;
- პროფესიულ სტუდენტეთან ინტერვიუს შედეგები;

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

სტუდენტური სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების მე-5 მუხლი ითვალისწინებს კარიერული განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტის მიხედვით, აკადემია სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთავაზობს დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის ფართო სპექტრს, მათ შორის, მათთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური კონსულტაციები, საინფორმაციო შეხვედრები და ღონისძიებები, რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენაში დახმარება(პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მეწარმეობის მოდულის ფარგლებში ხორციელდება აღნიშნული კომპეტენციის განვითარება), დამსაქმებელთა განახლებადი ბაზა, რომელიც აძლიერებს დასაქმების შესაძლებლობებს. ამასთან, აკადემია შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს გაიარონ პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო კურსები, რომლებიც მომზადებულია პარტნიორი კომპანიის საჭიროებების შესაბამისად, შიდა რესურსის გათვალისწინებით. ასევე დოკუმენტის მიხედვით, აკადემია ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების კვლევას, მიღებული შედეგებს კი იყენებს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროგრამების განვითარების მიზნით, ასევე აკადემიის სამომავლო ეფექტიანი ნაბიჯების განსასაზღვრად.
აკადემიაში პოტენციური სტუდენტებისათის ჩამოყალიბებულია პროფესიული ორიენტაციის სერვისი, რომელსაც ორგანიზებას უწევს სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სერვისის ფარგლებში აკადემიაში ტარდება ღია კარის დღეები და აპლიკანტების მონაწილეობით პრაქტიკული ვორქშოფები პროფესიასთან დაკავშირებული სიძნელეებისა თუ სწავლების გამოწვევებთან დაკავშირებული საკითხების უკეთ შესაცნობად და ხდება პროფესიონალური კარიერის დაგეგმვა და დეტალების ანალიზი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------[signature]----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----[signature]------------------

---------[signature]---------------

----[signature]--------[signature]-------------

აკადემიის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სოციალური ქსელში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის სპეციალობისა და ჯგუფების მიხედვით არსებული დახურული ჯგუფები) და სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აკადემია სისტემატურად უზიარებს ვაკანსიებს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მათი ინტერესისა და პროფესიის გათვალისწინებით. გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ხშირად აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კოლეჯში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებსა და შეხვედრებში, სადაც ჩართულები არიან დამსაქმებლებიც, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიული გამოცდილების გაღრმავებას, პირდაპირ კავშირს ბაზართან და კარიერულ განვითარებას.

### 3.2.2.1. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები-დებულების მიხედვით, სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების შესაძლებლობების/ ვაკანსიების და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება. მენეჯერი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები იყვნენ მუდმივად ინფორმირებულნი აქტიური ვაკანსიების, პროფესიული და ბაზრის მოთხოვნების შესახებ. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფოტო მტკიცებულებები, სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ გაზიარებული მრავალფეროვანი ვაკანსიები ცხადყოფს, რომ მსგავსი შეთავაზებები სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის პერმანენტულ ხასიათს ატარებს, ხოლო სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოხმაურებებით ირკვევა, შეთავაზებული ვაკანსიები მათი ინტერესესის სფეროს სრულიად ემთხვევა.
2025 წელს დაწესებულებამ ჩაატარა გამოკითხვა სტუდენტებს შორის კარიერული მხარდაჭერის სერვისებით კმაყოფილების შესახებ. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (100%) სრულ მხარდაჭერას გრძნობს აკადემიის მხრიდან მათი კარიერული განვითარების პროცესში, რესპონდენტების 75%-ს მიაჩნია, რომ დარგობრივი სემინარები, დამატებითი ლექციები, მასტერკლასები და ვორქშოფები მნიშვნელოვნად ეხმარება მათ პროფესიული უნარების განვითარებაში და კარიერის გაღრმავებაში, ხოლო 25%-ის მოსაზრებით, განსაკუთრებით სასარგებლოა მასტერკლასები და პრაქტიკული ვორქშოფები. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აკადემიის მიერ შეთავაზებული მრავალმხრივი მხარდაჭერა სრულად პასუხობს სტუდენტების მოლოდინებს, ეს არა მხოლოდ ზრდის მათი კარიერული განვითარებისადმი მოტივაციას, არამედ აძლიერებს ნდობას საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართ.
2025 წელს დაწესებულებამ ასევე ჩაატარა გამოკითხვა კურსდამთავრებულების კმაყოფილების შესახებ, ღია შეკითხვებიდან მიღებული მონაცემების თვისობრივი ანალიზი ცხადყოფს, კურსდამთავრებულთა მოლოდინს კარიერული მხარდაჭერის გაძლიერებაზე. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან გაცემულია რეკომენდაციები კარიერული განვითარების მიმართულების გაძლიერების შესახებ, ციფრულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  --------------------

---------  ----------------

----  --------  ------------

პლატფორმაზე აქტუალური ვაკანსიების, კარიერული რჩევებისა და CV/პორტფოლიოების შაბლონების განთავსებით, დამსაქმებლებთან მოლაპარაკებებისათვის თვითპრეზენტაციების, გასაუბრების ტექნიკების შესახებ ვორქშოფების გაძლიერებისა და დასაქმების ფორუმრების ორგანიზების ან ფორუმებში მონაწილეობის დაგეგმვის გზით.

### 3.2.2.2. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები მოიცავს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგიას, აკადემიის მიმდინარე საქმიანობის შეფასებისა და მისი განვითარების მიზნით ობიექტური კვლევის შედეგების ანალიზის-შიდა და გარე საჭიროებების დადგენის საფუძველზე. მეთოდოლოგიის თანახმად, დაწესებულება იყენებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდს სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე, რომელიც სრულდება მატერიალური ან ელექტორნული (Google form-ის პლატფორმის გამოყენებით) სახით. კვლევის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები აფასებენ კოლეჯის ინფრასტრუქტურას, მათ შორის მატერიალურ და საინფორმაციო რესურსებს, სასწავლო პროცესს, სწავლის შედეგების მიზნობრიობას, სწავლის მეთოდებს, შეფასების ფორმებს და მეთოდებს, პრაქტიკულ კომპონენტს, სასწავლო რესურსებს (მასალები, ლიტერატურა), სასწავლო და სამუშაო (პარტნიორ ორგანიზაციებში) გარემოს, პროფესიული მასწავლებლის კომპეტენციას, ასევე კითხვარში აფიქსირებს ინდივიდუალურ საჭიროებებსა და რეკომენდაციებს. ხოლო, კურსდამთავრებულები აფასებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და სწავლის შედეგების მიღწევას, რამდენად კმაყოფილები არიან მიღებული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები, რამდენად შეძლეს დასაქმება შეძენილი კომპეტენციების შესაბამისად. კვლევების შედეგების ანალიზის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელიც მონაცემებს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს ანალიზის მოსამზადებლად. დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კვლევა ტარდება საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის პროცესში ერთხელ, კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება წელიწადში ერთხელ.

2025 წლის 8 მაისს ჩატარდა 2023 და 2024 წლების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ გამოკითხვა. მიღებულმა შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები წლიდან წლამდე უმჯობესდება, რაც ადასტურებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობის ზრდასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. შედეგები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ვიზაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2023 წლის კურსდამთავრებულთა 58% დასაქმებულია თავისი პროფესიით, ხოლო 25% სხვა პროფესიით;
- კანის მოვლა და სპა პროცედურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2023 წლის კურსდამთავრებულთა 45% დასაქმებულია თავისი პროფესიით, ხოლო 36% სხვა პროფესიით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

- სტილისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2023 წლის კურსდამთავრებულთა 58% დასაქმებულია თავისი პროფესიით, ხოლო 42% სხვა პროფესიით;
- ფრჩხილის მოვლის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2023 წლის კურსდამთავრებულთა 50% დასაქმებულია თავისი პროფესიით, ხოლო 37% სხვა პროფესიით;
- ვიზაჟისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2024 წლის კურსდამთავრებულთა 69% დასაქმებულია თავისი პროფესიით, ხოლო 15% სხვა პროფესიით;
- სტილისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2024 წლის კურსდამთავრებულთა 76% დასაქმებულია თავისი პროფესიით, ხოლო 28% სხვა პროფესიით;
- კანის მოვლა და სპა პროცედურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2024 წლის კურსდამთავრებულთა 68% დასაქმებულია თავისი პროფესიით, ხოლო 11% სხვა პროფესიით;
- ფრჩხილის მოვლის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2024 წლის კურსდამთავრებულთა 56% დასაქმებულია თავისი პროფესიით, ხოლო 67% სხვა პროფესიით;

დაწესებულება, ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმების შესაბამისად, წელიწადში ერთხელ ასევე ახორციელებს დამსაქმებელთა გამოკითხვას, კურსდამთავრებულთა პროფესიული ცოდნის დონის, კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების მზაობის განსასაზღვრად. 2025 წლის კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დამსაქმებელთა აბსოლუტური უმრავლესობის (100%) მოსაზრებით, კურსდამთავრებულები მაღალ დონეზე არიან მომზადებულნი, კონკურენტუნარიანები და პრაქტიკულად მზად არიან სამუშაო პროცესში ჩართვისთვის.
ექპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის ფარგლებში ასევე შეისწავლა 2025 წელს ჩატარებული კურსდამთარებულების გამოკითხვის ანალიზი, რომლის მიზანი იყო კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლისა და წარმატებული დასაქმების ხელშეწყობის ეფექტიანობის განსაზღვრა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო კანის მოვლა და სპა როცედურების, ვიზაჟისტის, სტილისტისა და ფრჩხილის მოვლის სპეციალისტის პროგრამების 50-მა კურსდამთავრებულმა. გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები პოზიტიურ გავლენას ახდენს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებსა და პროფესიულ განვითარებაზე. რესპონდენტთა უმრავლესობის (76%) მოსაზრებით აკადემიაში მიღებულმა განათლებამ მისცა შრომის ბაზარზე დასაქმებისა და წარმატების საშუალება. ანალიზით განსაზღვრულია კურსდამთავრებულთა პროფესიული მხარდაჭერის გაძლიერებისა და დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით ისეთი კარიერული სერვისების შეთავაზება როგორიცაა, კონსულტაციები, ვორქშოფები, სამუშაოს მაძიებელთა ბაზა და პარტნიორ კომპანიებთან დასაქმების არხების გაძლიერება.
დაწესებულების მიერ შემუშავებული დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს აკადემიის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

### 3.2.2.3. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  -------------------

---------  ----------------

----  --------  ------------
--

4. *კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.*

2025 წელს კურსდამთავრებულთა და სტუდენტების კარიერული მომსახურების შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უწყვეტი კარიერული განვითარების შესაბამისი სერვისების გაძლიერების მიზნით. რეკომენდაციები ეხება ციფრული პლატფორმის ამოქმედებას, სადაც განთავსდება ვაკანსიები, CV/რეზიუმეს შაბლონები და კარიერული რჩევები, დასაქმების მიმართულებით ვორქშოფებისა და ფორუმების ჩატარებას აკადემიის მიერ ან სხვა დაწესებულებების მიერ დაორგანიზებულ ღონისძიებებში სტუდენტების/კურსდამთავრებულების მონაწილეობის უზრუნველყოფას.

აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მის მიერ შემუშავებულ მხარდაჭერის გეგმაში, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის გაზრდის მიზნით განსაზღვრა შესაბამისი აქტივობები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიღმა, გეგმა ასევე ითვალისწინებს დამატებით აქტივობებს, კერძოდ, კარიერული სახის კონსულტაციების გაძლიერებას არსებული სტუდენტებისთვის კარიერული მრჩეველების დანიშვნის გზით, რომლებიც დაეხმარებიან სტუდენტებს კარიერული არჩევანის გაკეთებაში, მათი ინტერესების, უნარების და შრომის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის გაზრდის მიზნით, გეგმა ასევე ითვალისწინებს ადგილობრივ და საერთაშორისო დამსაქმებლებთან პარტნიორული ურთიერთობების გამყარებას, სტაჟირების პროგრამების დაორგანიზებას ნატალი ჯგუფის სილამაზის სალონებსა და სპა ცენტრებში, ახალი პარტნიორების მოძიებას და სამუშაო ბაზრის მუდმივ მონიტორინგს.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ დაწესებულება აქტიურად ახორციელებს კვლევებიდან მიღებული მონაცემების სისტემატურ ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში, პროცესების გაუმჯობესების მიზნით დროულად რეაგირებს მათზე.

### 3.2.2.4. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- სტუდენტური სერვისებისა და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები;
- კარიერული მხარდაჭერის დამდასატურებელი ფოტო მტკიცებულება;
- პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

------------------------

------------------------
--

- კარიერული მხარდაჭერის გეგმა;
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. ადამიანური რესურსები

### 4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის N85 ( 02.07.2025 წ.) ბრძანებით (ცვლილებები დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 21 აგვისტოს N119 ბრძანებით) დამტკიცებული „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები-დებულება" მარეგულირებლის მიხედვით, აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად პერსონალს: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. დოკუმენტით მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა თანამდებობრივი პოზიციის სამუშაო აღწერილობა, სადაც ჩანს თითოეული პოზიციის მიხედვით შესასრულებელი დავალებები, სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პოზიციებს შორის კოორდინაციის საკითხი, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება/პასუხისმგებლობა. აკადემიას ასევე, წარმოდგენილი აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა ორგანოგრამის სახით, სადაც სქემატურად არის მოცემული პერსონალის იერარქია და დაქვემდებარებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

დაწესებულებაში დასაქმებულია 11 ადმინისტრაციული და 2 დამხმარე პერსონალი, რომლებთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები. გარდა ამისა დაწესებულება სარგებლობს მომსახურების ხელშეკრულებით იურიდიული და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის მისაღებად.
შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 27 ივლისის N57 ბრძანებით (ცვლილებები დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 21 აგვისტოს N 117 ბრძანებით) დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი“-ს მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ხელშეკრულების გაფორმებამდე აცნობს კანდიდატს შინაგანაწესს, ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმებს, პერსონალური მონაცემების დაცვის წესსა და იმ პოზიციის სამუშაო აღწერილობას, რომელზეც ის უნდა დასაქმდეს.
ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული პერსონალის განახლება. ინტერვიუების პროცესში მონაწილეობა მიიღეს ახალდასაქმებულმა თანამშრომლებმაც, რომლებმაც გამოხატეს მზაობა აკადემიის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩასართავად. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ახალი თანამშრომლები კარგად იცნობენ დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს და თავიანთი პოზიციის შესაბამის სამუშაო აღწერილობებს, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურობას.

**4.1.1.1. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია**

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

აკადემიის თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები-დებულება დოკუმენტის მიხედვით განაწილებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს ყველა იმ თემას, რომელიც დაწსებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებასა და მიზნებს უკავშირდება. აღნიშნული დასტურდება როგორც თანამშრომლებთან გასაუბრებით, ასევე კოლეჯის სამოქმედო გეგმაში მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით.

**4.1.1.2. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია**

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, ფუნქციები მოიცავს: კოლეჯის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება; ხარისხის, როგორც პროცესის დაგეგმვა; კადრების მოზიდვის და დასაქმების მექანიზმების შესრულების კონტროლი; კოლეჯში მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება; სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემური სრულყოფის, სწავლების მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხის სისტემატური შეფასების განვითარება-განახლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; სწავლა-სწავლების და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგი და შეფასება; სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებული კვლევების მონაცემების იდენტიფიცირება, ანალიზი და ახალი კითხვარების შემუშავება; კოლეჯის ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესის ორგანიზება; მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით შესაბამისი ინიცირების წარდგენა შრომის ბაზრის და სხვა კვლევების საფუძველზე; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში ცვლილების ინიცირება; სამართლებრივი რეგულაციების პროექტების მომზადება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში; კოლეჯის დირექტორის მიერ დელეგირებულ და კოლეჯის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული ვალდებულებები; სტანდარტებთან შესაბამისობის შემთხვევაში- შესრულების არსებული დონის შენარჩუნების, ასევე პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის, მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; სტანდარტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განვითარების გეგმის შემუშავება; რეკომენდაციების შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე; კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების, ასევე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში მონაწილეობა; კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში მონაწილეობა; შიდა ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებლობა; სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე ანგარიშების მომზადება; ანგარიშების მომზადება მოთხოვნის მიხედვით, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მონიტორინგი, ასევე მატერიალური რესურსების რეგულარული შეფასება და განვითარება.
აღნიშნული ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს სხვა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობასთან. რაც დადასტურდა პროცესების მიმდინარეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2025 წლის სამოქმედო გეგმისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

### 4.1.1.3. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- სტრუქტურა;
- ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი;
- თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები-დებულება;
- ხარისხის უზურნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------   ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----   --------------------

---------   ---------------

----   --------   ----------
--

- 2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზურნველყოფის 2025 წლის სამოქმედო გეგმა;

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

აკადემიაში პერსონალის მართვის საკითხები განსაზღვრულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 27 ივლისის N57 ბრძანებით (ცვლილებები დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 21 აგვისტოს N 117 ბრძანებით) დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი“-ს და შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N53 ბრძანებით (ცვლილება დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 19 აგვისტოს N116 ბრძანებით) დამტკიცებული „შინაგანაწესი“-ს დოკუმენტებით, რომლებიც საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის აკადემიის ვებ-გვერდზე.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზანია აკადემიაში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება; ეფექტური საკადრო პოლიტიკის განხორციელება და აკადემიაში დასაქმებულთა მოტივაციის, თვითრეალიზების, თვითგანვითარების, პროფესიული განვითარების და ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფა, რომელიც ეფუძნება ინიციატივის, გუნდურობისა და პარტნიორობის, გამჭვირვალობის და ნდობის, ობიექტურობის, გრძელვადიანი თანამშრომლობის და მოტივირების პრინციპებსა და ღირებულებებს. პოლიტიკის დოკუმენტით უზრუნველყოფილია ახალი კადრის საჭიროების განსაზღვრის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, კონკურსის ჩატარების, კონკურსის შედეგების გასაჩივრების, შშმ და სსსმ პირების დასაქმების, კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, ხელშეკრულების გაფორმების, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისა და სამუშაო პროცესში ეფექტური ჩართვის, პერსონალის შეფასების, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების საკითხები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

აკადემიის შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი განსაზღვრავს როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის უფლებებსა და ვალდებულებებს, შრომითი ურთიერთობების წარმოშობის, წარმართვისა და შეწყვეტის წესებს. დოკუმენტი უზრუნველყოფს სამართლიან, გამჭვირვალე და უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სადაც გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეთიკური საკითხი. შინაგანაწესით დადგენილია წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის წესი და გამოსაცდელი ვადის პირობები. განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების პრინციპები, გადახდის ფორმა და ვადები. ასევე გაწერილია სამუშაო დროის, დასვენებისა და შესვენების დროის, არასრული სამუშაო დროისა და ზეგანკვეთური სამუშაოს წესები. დოკუმენტში დეტალურადაა განსაზღვრული შვებულების მიღების უფლება, შვებულებაში გასვლის პროცედურა, მისი სახეები – ანაზღაურებადი, ანაზღაურების გარეშე, ასევე ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება, ბავშვის მოვლის გამო შვებულება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამუშაო ადგილის ორგანიზებას, დასაქმებულთა ჩაცმის ეტიკეტს, შიდა კომუნიკაციის კულტურას და მოვლინების წესს. დოკუმენტი მოიცავს სამუშაო ადგილზე დასაქმებულის დაშვების დროებითი შეზღუდვის საფუძვლებს, ასევე შეთავსებით მუშაობის პირობებს სხვა დამსაქმებელთან. შინაგანაწესი ითვალისწინებს დამსაქმებლის ქონებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის წესებს, დისკრიმინაციის აკრძალვას და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას. გაწერილია აკადემიაში თამბაქოს მოხმარების წესი, დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები და წახალისების ფორმები. დისციპლინური პასუხისმგებლობის ნაწილში მოცემულია დისციპლინური ზომები, დისციპლინური წარმოების პროცედურა, პასუხისმგებლობის გაქარწყლების ან მოხსნის წესი, ახალი დისციპლინური ზომის დაკისრების საფუძვლები და ხანდაზმულობის ვადა. დოკუმენტში გაწერილია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ყველა საფუძველი: დასაქმებულის მიერ ვალდებულების უხეში დარღვევა, ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგადი წესები და პროცედურები. ასევე, შინაგანაწესი არეგულირებს ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებს, ელექტრონული ფოსტითა და ინტერნეტით სარგებლობის წესებს, რითაც უზრუნველყოფილია აკადემიის ინფორმაციული და ტექნიკური რესურსების უსაფრთხო და ეფექტიანი გამოყენება.

შესწავლილი დოკუმენტებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიაში პერსონალის მართვა, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. კერძოდ:

- შრომითი ხელშეკრულებები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან შესაბამისობაშია როგორც შინაგანაწესთან, ასევე საქართველოს შრომის კოდექსთან და დაწესებულების სხვა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, შესაბამისად, აღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერები ადასტურებს პერსონალის მხრიდან შინაგანაწესით დარეგულირებული შრომითი ურთიერთობის საკითხების გაცნობას.
- პერსონალის კვირეული დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 სთ, რაც დადასტურდა ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემის შესწავლით.
- შესწავლილი დოკუმენტების (ბრძანებები, განცხადებები და ა.შ) პერსონალის პოზიციაზე დანიშვნა და განთავისუფლების პროცესებში დაცულია როგორც შიდა მარეგულირებელი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში და პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

**4.1.2.1. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია**

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

აკადემიაში პერსონალის მართვის საკითხები დარეგულირებულია ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმით, რომელიც ქმნის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესის წარმართვისთვის და უზრუნველყოფს პროცედურების შესაბამისობას როგორც შიდა რეგულაციებთან, ისე მოქმედ კანონმდებლობასთან. ახალი კადრის საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ადგენს სამუშაო აღწერას, რომელიც ეფუძნება კანონმდებლობასა და თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები-დებულებას, ხოლო სამუშაო აღწერილობის არ არსებობის შემთხვევაში ამზადებს შესაბამის პროექტს და წარუდგენს დირექტორს დამტკიცებისთვის.
პერსონალის მოზიდვა ხორციელდება როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან. შიდა წყაროს წარმოადგენს თანამშრომელთა რეკომენდაციები, ხოლო გარე წყაროებს – პარტნიორი ორგანიზაციების რეკომენდაციები, ვაკანსიების განთავსება დასაქმების პორტალებზე, აკადემიის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პოზიციებზე ინფორმაციის გავრცელებას და კანდიდატთა ფართო წრის მოზიდვას.
შერჩევის პროცესი მოიცავს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვასა და მათთან გასაუბრებას, რის შემდეგაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის დირექტორი და გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს დანიშვნის შესახებ. კონკურსის შემთხვევაში დირექტორი ქმნის საკონკურსო კომისიას, რომელიც თითოეულ კანდიდატს განიხილავს ინდივიდუალურად და აფასებს ქულათა სისტემით ან კენჭისყრით.კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შერჩეული კანდიდატის შესაბამის პოზიციაზე დანიშვნის შესახებ. შერჩევის შემდეგ თანამშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება.
პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების გაცნობით გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი არსებითი პირობები როგორიცაა: მხარეთა შესახებ ინფორმაცია, ხელშეკრულების საგანი, შრომის ანაზღაურება და მისი გადახდის წესი, სამუშაო დრო, დასვენების დრო, შესვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაო, მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამუშაოს შესრულება დისტანციური ფომით, შვებულების მოთხოვნის მიცემის წესი, ანაზღაურებადი შვებულება, ანაზღაურების გარეშე შვებულება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, შეთავსებით მუშაობა სხვა დამსაქმებელთან, დასაქმების შეზღუდვა, მარეგულირებელი სამართალი.დავა, მხარეთა შორის კომუნიკაცია, შრომითი ხელშეკრულების ცვლილება, გარანტიები და თანხმობები.
შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ხორციელდება თანამშრომლის პირადი საქმის წარმოება, რომელიც წარმოებს როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალურ ფორმატში და წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. აკადემიის შინაგანაწესის მიხედვით, პირადი საქმე მოიცავს ავტობიოგრაფიას ან CV-ს, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, პირადობის მოწმობის ასლს, განაცხადს თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, ნასამართლეობის ცნობას, შრომით ხელშეკრულებასა და მის ცვლილებებს, დირექტორის ბრძანებებს დანიშვნის, გათავისუფლების, როტაციის, შვებულების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების შესახებ, ასევე კონკურსის შედეგებსა და შეფასებებს. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება შინაგანაწესით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------

--

გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს თანამშრომელთა დოკუმენტაციის სრულობას და შესაბამისობას კვალიფიკაციის მოთხოვნებთან.

არსებული პრაქტიკის შესწავლისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი კონკურსის გზით, სრულად შეესაბამება შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი აკადემიის დირექტორთან წარდგენის საფუძველზე განათავსებს ვაკანსიას დასაქმების პორტალზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით შერჩეულ პირებთან დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კომისია ატარებს გასაუბებებს, წინასწარ განსაზღვრული გასაუბრების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით 5 ბალიანი ქულათა სისტემით. პროფესიული მასწავლებლების შემთხვევაში იმართება კონკურსის მესამე ეტაპი, რომელიც გულისხმობს, კომისიის მიერ კანდიდატის შეფასებას გამოსაცდელი ლექციის საშუალებით წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით 4 ბალიანი ქულათა სისტემით. აღსანიშნავია, თითოეული საკონკურსო ეტაპის შეფასების კრიტერიუმებთან ერთად დადგენილია მინიმალური ზღვრები შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. კონკურსის ეტაპების წარმატებით გადალახვის შემთხვევაში, კანდიდატების პირადი განცხადებისა და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირი ინიშნება შესაბამის პოზიციაზე.

**4.1.2.2. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

აკადემიას თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები-დებულებით განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსხვავებული თანამდებობისთვის ინდივიდუალურად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები და დადგინდა, რომ თითოეულ პირად საქმეში განთავსებულია ავტობიოგრაფია ან CV-ს, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტები, პირადობის მოწმობის ასლი, განაცხადი თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა, შრომით ხელშეკრულება და მისი ცვლილებები, დირექტორის ბრძანებები დანიშვნისა და როტაციის შესახებ. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ თანამშრომლების კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია პოზიციით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

**4.1.2.3. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია**

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

აკადემიაში მართვის პროცესები ემყარება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებითა და აკადემიაში დამკვიდრებული პრაქტიკით. კერძოდ, მექანიზმების დონეზე, ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმის მიხედვით, ადამიანური რესურსი წარმოადგენს აკადემიაში დასაქმებულ პირთა ერთობლიობას, რომლებიც ინდივიდუალურად ან/და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------ --------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

ერთობლივად/ერთიანი გუნდით მუშაობენ აკადემიის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში, რასაც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის ყველა ეტაპი, როგორც ახალი კადრის საჭიროების განსაზღვრის, ასევე ეპერსონალის მოზიდვის, პერსონალის შერჩევის, კონკურსის ჩატარების, კონკურსის შედეგების გასაჩივრების, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისა და მათ ეფექტურ სამუშაო პროცესში ჩართვის ეტაპები. აკადემიის პერსონალთან გასაუბრებისა და აკადემიის მიერ წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების შექმნის ბრძანებები და მათი მუშაობის ამსახველი ოქმები ხაზს უსვამს დაწესებულებაში გუნდური მუშაოის პრინციპების კარგად დამკვიდრებულ პრაქტიკას.

### 4.1.2.4. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- შინაგანაწესი;
- თანამდებობების პოზიციების ფუნქციები- დებულება;
- ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- პერსონალის სამსახურში მიღების პროცესის ამსახველი მტკიცებულებები;
- დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
- სამუშაო ჯგუფების ოქმები;

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4.2 პერსონალის განვითარება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

--------------------------

--------------------------

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმის შესაბამისად აკადემიაში პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა აწყობილია იმდაგვარად, რომ იგი ერთდროულად ემსახურება როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობას. შეფასების მთავარი მიზანია თითოეული თანამშრომლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, რაც საშუალებას იძლევა დაგეგმილ იქნას შემდგომი პროფესიული განვითარება და განხორციელდეს მიზანმიმართული ნაბიჯები სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის.
შეფასების სისტემა ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ კრიტერიუმებს და ითვალისწინებს მრავალმხრივ ჩართულობას. პროცესში მონაწილეობენ პროფესიული მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ობიექტურობას. გარდა ამისა, ადმინისტრაციული პერსონალი გადის კომპეტენციათა საფუძველზე შემუშავებულ სპეციალურ შეფასებას.
პერსონალის შეფასება ხორციელდება რეგულარულად, ექვს თვეში ერთხელ, წინასწარ განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესაბამისად. პროცესს კოორდინაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომელიც აგროვებს და აანალიზებს მონაცემებს. პროფესიული მასწავლებლების შემთხვევაში შეფასება უფრო კომპლექსურია, რადგან მოიცავს არა მხოლოდ კითხვარებზე დაფუძნებულ შეფასებას, არამედ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და სწავლების ხარისხის უშუალო ანალიზს. ამ პროცესში აქტიურად ერთვება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც სწავლების ხარისხს აფასებს უშუალო დაკვირვებით და შედეგებს აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.
მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადგენს ანგარიშს, რომელიც განიხილება დირექტორსა და მის მოადგილესთან ერთად. სწორედ ამ განხილვების შედეგად განისაზღვრება შემდგომი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს როგორც პროფესიული განვითარებისა და წახალისების ზომებს, ასევე დისციპლინურ ღონისძიებებს იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია. აღსანიშნავია, რომ პერსონალის შეფასების უფლება, საჭიროების შემთხვევაში, აკადემიის დირექტორსაც აქვს.
2025 წელს აკადემიამ განახორციელა პროფესიული მასწავლებლების შეფასება და მასწავლებელთა მიერ თვითშეფასება, შეფასებაში მონაწილეობდა სხვადასხვა პროფესიული პროგრამის 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, შედეგებზე დაყრდნობით, 8 მასწავლებელმა მიიღო უმაღლესი შეფასება, 2-მა საშუალო და 3-მა დაბალი, რის შედეგადაც შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაციები სწავლა-სწავლების სტრატეგიების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- -----------
--

და სტუდენტთა შეფასების, დარგში გადამზადების, ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისა და სტუდენტთა ინდივიდუალური მხარდაჭერის უზრუნველყოფის ტრენინგების შესახებ, აშნიშნული რეკომენდაციების შესრულებისთვის განისაზღვრა 3 თვიანი პერიოდი 2025 წლის სექტემბერი-ნოემბერი.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2023 წლის 27 ივლისის N58 ბრძანებით (ცვლილებები დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 21 აგვისტოს N118 ბრძანებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული მასწავლებელების) დამტკიცებული „ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციათა შეფასების სისტემა“ შემუშავებულია „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი“-ს დოკუმენტის საფუძველზე და ადგენს პერსონალის შეფასების პრინციპებს, პროცედურებს, შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და შეფასების სისტემის განვითარების წესებს. დოკუმენტის მიზანია გაზომოს თითოეული თანამშრომლის კომპეტენციები და დადგინდეს დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობა, გამოვლინდეს დასაქმებულის ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა გაუმჯობესდეს შესრულებული სამუშაოს ხარისხი. ასევე, შეფასების შედეგების საფუძველზე განისაზღვროს პროფესიული განვითარების საჭიროებები და დაიგეგმოს განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები; მოხდეს თანამშრომელთა წახალისება და წამახალისებელი ღონისძიებების შემუშავება. დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შეფასება ხორციელდება პერიოდულად/საჭიროებისამებრ. გამოკითხვის ფარგლებში ფასდება მმართველობითი და თანამდებობრივი პოზიციები. მმართველ პოზიციებზე დანიშნულ პირებს აფასებენ დაქვემდებარებული პირები. თანამდებობრივ პოზიციების კითხვარები ითვალისწინებს როგორც ხელმძღვანელის მიერ დაქვემდებარბეულის შეფასებას, ასევე პირიქით, დაქვემდებარებულის მიერ ხელმძღვანელის შეფასებას. შეფასება მოიცავს ასევე, თვითშეფასებასაც. შეფასება ხორციელდება 4 ბალიანი ქულათა სისტემით. დებულებით ასევე განსაზღვრულია მიღებული შეფასების ჯამური ქულების ხარისხობრივი მნიშვნელობა. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისთვის, მათ მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარებისთვის ან აკადემიის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისთვის. შეფასების შედეგები მუშავდება ანგარიშის სახით ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ, რომელიც თავის მხრივ პერსონალს ინდივიდუალურად აცნობს შედეგებს. შეფასების შემდეგ ეტაპზე, პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისა და განვითარების მიზნით, პერსონალი ავსებს კითხვარს განვითარების საჭიროებასთან დაკავშირებით, შედეგებზე დაყრდნობით ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი შესაბამის დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეიმუშავებს განვითარების გეგმას.

2025 წელს ჩატარებული ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შეფასებული 12 ადმინისტრაციული პერსონალიდან 9-მა მათგანმა მიიღო უმაღლესი შეფასება (85%-100%), რაც ითვალისწინებს ფულად ან პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. ხოლო 3-მა მათგანმა საშუალო (80%-84%) რაც მადლობის გამოცხადებასა და სიგელის გადაცემას ითვალისწინებს. აღნიშნული შედეგების საფუძველზე, დაწესებულებამ წარმოადგინა განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს პროფესიული განვითარების შესაბამის ღონისძიებების, ტრენინგების დაგეგმვას 2025 წლის სექტემბერი-დეკემბერი პერიოდში.

პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ აკადემია პერიოდულად ახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას. მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები, მათ შორის ტრენინგები, გადამზადება და წახალისების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა უნარების გაუმჯობესებას და სასწავლო პროცესის სრულყოფას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

**4.2.1.1. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციათა შეფასების სისტემის შესაბამისად დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა 2025 წელს ჩატარებული კვლევები პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნით. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, პერსონალის განვითარების მიზნით ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავებულია პერსონალის განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს 2025 წლის სექტემბერი-დეკემბრის პერიოდში განსახორციელებელ ღონისძიებებს (ტრენინგებს, განმავითარებელ დავალებებს, გამოცდილების გაზიარებას, ხელმძღვანელების მხარდაჭერასა და სხვა.) და მაღალი შედეგის მქონე პერსონალისთვის მოტივაციის გაზრდის მიზნით წამახალისებელ აქტივობებს (სიგელის გადაცემა, მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდო, პროფესიული განვითარების მხარდაჭერა და სხვ).
დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის სხვადასხვა პროფესიული განვითარების სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერიტფიკატები და ადმინისტრაციის მხარდაჭერის მიზნით გამართულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობის დამდასატურებელი მტკიცებულებები (ხელმოწერილი დასწრების ფორმები).
პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათი განვითარება ხორციელდება აკადემიის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ პროფესიული განვითარების ღონისძიებები არ არის ერთჯერადი ან ფორმალური ხასიათის, არამედ ემყარება რეალურ მოთხოვნებსა და პრიორიტეტებს, რომლებიც იკვეთება პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიიდან.

**4.2.1.2. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია**

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

აკადემია აქტიურად არის ჩართული მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროცესში, პროფესიული მასწავლებელების შეფასებების, ინიციატივებისა და დარგში მიმდინარე ინოვაციების გათვალისწინებით  თავად გეგმავს ან ხელს უწყობს მასწავლებლების ჩართულობას შესაბამის ტრენინგებში, სემინარებსა და ვორქშოფებში. რაც დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებითა და აკადემიის მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატებით, ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი ხელმოწერილი დასწრების ფორმებით და სხვ.
მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ 2022, 2023, 2024 და 2025 წლებში აკადემიის ორგანიზებით რეგულარულად ტარდება შიდა ტრენინგების ციკლი „სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა პროფესიულ განათლებაში“, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული მასწავლებლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- -----------
--

პედაგოგიური უნარების გაძლიერებას, სწავლების თანამედროვე მიდგომების ათვისებას და სტუდენტთა შეფასების ინოვაციური სისტემების ეფექტიან გამოყენებას.

### 4.2.1.3. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმებით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ეფექტიანი ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან. დოკუმენტის მიხედვით, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესზე პასუხისმგებლები არიან ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, კონკრეტული თანამდებობრივი პოზიისთვის შესაბამისი მენეჯერი, (ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე),პროფესიული მასწავლებლები.
ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და კოლეგებთან. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ახალ თანამშრომელს გააცნობს ვებ-გვერდს და უზრუნველყოფს მის ჩართვას აკადემიის შიდა არსებულ სოციალურ ქსელებსა და ჯგუფებში. შესაბამისი თანამდებობრივი პოზიციის მენეჯერი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე მასთან შემხებლობაში მყოფი მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობას, რომლებიც განსაზღვრავს მისი შემდგომი მუშაობის ვალდებულებებს და პირობებს.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებითა (დოკუმენტების გაცნობაზე დასტური ხელმოწერით) და პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ აკადემია ახალი თანამშრომლების ინტერგაციის მიზნით აცნობს მათ როგორც შიდა მარეგულირებე დოკუმენტებს (შინაგანაწესი, აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, სტუდენტური სერვისები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პოზიციის შესაბამის ფუნქცია-მოვალეობები) ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს.

### 4.2.1.4. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

აკადემიის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების მექანიზმებს დასაქმებულის მიერ განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის დავალების შესრულებისთვის ან/და დასაქმებულთა შეფასების შედეგების მიხედვით, რისთვისაც იყენებს წახალისების რამდენიმე ფორმას, მათ შორის, მადლობის გამოცხადება, ერთჯერადი ფულადი ჯილდო, საჩუქარი, დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა ან/და შემსუბუქება, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმის წახალისებები. დასაქმებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა ერთდროულად, ამასთან, დამსაქმებელი შეზღუდული არ არის წახალისების ფორმის შერჩევაში. დასაქმებულის მიმართ გამოყენებული წახალისების შემთხვევები აღირიცხება დასაქმებულის პირად საქმეში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------

--

დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის, 2025 წლის პერსონალის განვითარების გეგმით) საფუძველზე ირკვევა, რომ თანამშრომლების ინიციატივები პროფესიული განვითარების მიმართულებით — მათ შორის სემინარებსა და მასტერკლასებში მონაწილეობის სურვილი — ყოველთვის სრულად მხარდაჭერილია აკადემიის მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემია ფოკუსირებულია პერსონალის პროფესიული უნარების გაძლიერებასა და მოტივაციის შემდგომ მხარდაჭერაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალურ, ისე ორგანიზაციულ განვითარებას.

### 4.2.1.5. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები;
- ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციათა შეფასების სისტემა;
- შინაგანაწესი;
- პროფესიული მასწავლებლების შეფასების შედეგები;
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში;
- 2025 წლის პროფესიული განვითარების გეგმა;
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგები;
- პერსონალის სერტიფიკატები;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- ტრენინგების ჩატარების ამსახველი ფოტო მასალა, დასწრების ფურცლები;

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ----------------

---- -------- ----------

--

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

1. დასდაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY უზრუნველყოფილია მინიმუმ ავტორიზაციის ვადით შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის.

დაწესებულებას შპს ,,ნატალისთან" ( ს/ნ 205125407) 2025 წლის 01 აპრილს გაფორმებული ა ქ ვ ს იჯარის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში, ავტორიზაციის ვადით (6 წლის ვადით) , ფლობს ფართს ჯამურად - 559.97კვ.მ-ს. საკადასტრო კოდზე: (01.10.13.041.001.01.511).საიჯარო ფართი მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი მ. კოსტავას N 67. შენობა-ნაგებობების, ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. აკადემიის მიერ წარმოდგენილი იქნა შიდა აზომვითი ნახაზები და ფართების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა. დაწესებულებას აღნიშნულ მისამართზე, ფართში განთავსებულია: სამასწავლებლო, ვიზაჟისტის პროგრამის თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორია, სტილისტის პროგრამის თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორია, სტილისტის პროგრამის პრაქტიკული სწავლების დამხმარე ოთახი, ფრჩხილის მოვლის სპეციალისტის თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორია, ფრჩხილის მოვლის სპეციალისტის პროგრამის დამხმარე ოთახი, ესთეთიკისა და კანის მოვლის პრაქტიკული და თეორიული სწავლების აუდიტორია,საერთო სივრცე (ფოიე), ადმინისტარციული საქმიანობისათვის განკუთვნილი ცივრცეები(3 ოთახი), ბიბლიოთეკა, სერვერის ოთახი, სასაწყობე სივრცე, 6 სანიტარული კვანძი ( გოგონებისათვის და ვაჟებისათვის ცალცაკლე, ასევე შშმ პირებისათვის ადაპტირებული), სტერილიზაციის ოთახი,სტუდენტური კაფე/სამზარეულო,პირველადი დახმარების ოთახი. ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტეეული ტექნიკით. მატერიალური რესურსების მართვა/შეფასება აკადემიაში რეგულარულად ხორციელდება დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს N64 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმების" შესაბამისად.დაწესებულებას გააჩნია ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

დირექტორის 2023 წლის 08 აგვისტოს N64 ბრძანებით „მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმების" შესაბამისად განსაზღვრულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის პირობები, რომლის თანახმად აკადემიის თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------[signature]----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----[signature]------------------

---------[signature]---------------

----[signature]--------[signature]-----------
--

(პროფესიული განათლების მასწავლებლის/ ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ) უფლებამოსილია გამოიყენოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ისარგებლოს ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით, მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განსახორციელებლად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

კოლეჯის ტერიტორიაზე სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებს დიასახლისი. ყოველდღიურად, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ფართების დეზინფექცია და დასუფთავება. აკადემიაში წარმოებს ქიმიური ხსნარების დოზირების და გამოყენების აღრიცხვიანობის ჟურნალი, რომელშიც ასევეა ჩანიშნული დასუფთავების გრაფიკი და დასუფთავების საშუალებები.
პროცესს ზედამხედველობს მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი, რომელიც აკონტროლებს სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვას, რაც დასტურდება მასთან გაფორმული ხელშეკრულებითა და სამუშაო აღწერილობით. ასევე დაწესებულებას დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს N63 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფისა და დასუფთავების წესი“, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების პროცედურები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
კოლეჯი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომელიც ფუნქციონირებს ბუნებრივ აირზე და გათბობით უზრუნველყოფს ყველა მის მართლზომიერ ფლობელობაში არსებულ სივრცეებს. აღნიშნული დასტურდება როგორც კომუნალური გადახდის ქვითრებით ასევე ფაქტობრივი გარემოებით (ვიზუალური დათვალიერებით და სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვით).

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.
უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად დაწესებულებაში შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები” (შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N48 ბრძანება)
დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მენეჯერი, რომელიც არის შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული სპეციალისტი და დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. დაწესებულებაში მის მიერ მარეგულირებელი დოკუმენტაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------- ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- ----------
--

შესაბამისად პერიოდულად ხორციელდება რისკების შეფასება, განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემას ასევე პერიოდულად ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟები, რასაც ადასტურებს, როგორც გასაუბრების შედეგები და ასევე ხელმოწერების ჟურნალები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 08 აგვისტოს N64 ბრძანებით „მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმების" შესაბამისად, ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით შესაბამისი პირი (აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი/პროგრამის ხელმძღვანელი/ პროფესიული განათლების მასწავლებელი) დირექტორს ან/და დირექტორის მოადგილეს ან/და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორს წარუდგენს წერილობით მოთხოვნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალა-ნედლეულის თაობაზე. აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე ხორციელდება მასალა-ნედლეულის შენახვა, გაცემა, გამოყენება, აღრიცხვა, ჩამოწერა, ანგარიშგება, ინსპექტირება და უტილიზაცია. დაწესებულებაში არსებული მექანიზმების საფუძველზე და მტკიცებულებებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესისითვის მუდმივად უზრუნველყოფილია მასალანედლეულის მიწოდება.ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებსაც, რომლებმაც დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალები და ნედლეული შეუფერხებლად მიეწოდებათ.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები რეგულირდება აკადემიის დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N54 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმებით", რომლის საფუძველზეც რეგულარულად ხორციელდება აკადემიის რესურსების შეფასება. შეფასების მეთოდად ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერს გამოყენებული აქვს გამოკითხვის მეთოდი. ისინი ყოველწლიურად ახორციელებენ აკადემიის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით იგეგმება რესურსების განვითარებისთვის განსახორციელებელი აქტივობები. კოლეჯში ასევე მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 08 აგვისტოს N64 ბრძანებით დამტკიცებული ,,მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმები", აღნიშნული რეგულაციის მე-3 მუხლი მოიცავს ,,პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას"რომლის თანახმად აკადემიის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი, ხოლო საგანმანთლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის რეგულარულ შეფასებას ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად. საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე, არაუგვიანეს ერთი თვისა, აკადემიაში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების გეგმის შემუშავება, განვითარების გეგმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

------------------------

----------------------------------

შემუშავებაში ჩართულია სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი შეფასებისა და განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე.რესურსების შეფასების მიზნით გამოიყენება აგრეთვე ყოველწლიური ინვენტარიზაციის შედეგებიც, რომელსაც ახორციელებს ინვენტარიზაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანებით. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით მატერიალური რესურსების განკარგვის წესის დაცვით ხორციელდება დაზიანებული რესურსების ჩამოწერა და განახლების დაგეგმვა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

შენობის აზომვითი ნახაზით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კოლეჯის შენობაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას შენობაში განთავსებულ სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებში, მათ შორის ბიბლიოთეკაში აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის/მუშაობის შესაბამის პირობებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას შენობაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. სასწავლო გარემოები და სამუშაო სივრცეები გადანაწილებულია ისე, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას ხელი არ შეეშალოს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  ------------------

---------  ----------------

----  --------  -----------

--

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯში NATALI ACADEMY ბიბლიოთეკა განთავსებულია აკადემიის მე-2 სართულზე, იგი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსებულია დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს N59 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო რესურსები, კატალოგები, ჟურნალები და ელექტრონული ვერსიები. ბიბლიოთეკარი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და მისი ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები კი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.ვიზიტის პერიოდში შედგა გასაუბრება ბობლიოთეკართან და დადგინდა, რომ მიმდინარე პერიოდისათვის არ დაფიქსირებულა წიგნების გატანის ფაქტი.

**5.1.1 11.** ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" - ის 1.5. მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია, **წიგნების და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსის გატანის და დაბრუნების მექანიზმი,** სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს/შექმნას სპეციალური -მკითხველის ფორმულარი/ჟურნალი,სადაც აისახება წიგნადი რესურსის გატანა-დაბრუნების შესახებ ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს წიგნების მოძრაობის სისტემურ აღრიცხვასა და ბიბლიოთეკის რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს საზოგადოებრივ კოლეჯს ,,Natali Academy" და შპს ,,ნატალის" შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება ( 01.04.2025)
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაწესებულების ფართების აზომვითი ნახაზები;
- ,, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფისა და დასუფთავების წესი",
- „მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმების" ;
- ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები";
- „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმებით",
- „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  -------------------

---------  ---------------

------------ -----------

--

- შრომის უსაფრთხოების აკრედიტებულ სპეციალისტის სერტიფიკატი;
- დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგი;
- პროფესიულ სტუდენტეთან და პერსონალთან ჩატარებული კვლევის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- წყლისა, დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს: ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები“ და ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“. აკადემიის შენობა სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. ამას ადასტურებს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული (2025 წლის 14 ივნისს MIA 92501820754 წერილი) , სახანძრო-ტექნიკური შემოწმების, გამოკვლევის აქტი და შესაბამისი დასკვნა: ,,სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე შედგენილი N189 აქტით დგინდება, რომ ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N67-ში მდებარე შპს ,,საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy"-ს შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს“. ასევე დაწესებულებაში ყველა სართულზე თვალსაჩინოდაა აღნიშნული ყველა ის ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი თუ მანიშნებელი ნიშანი, რომელიც გვამცნობს უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას, აქვს საევაკუაციო გასასვლელი, უზრუნველყოფილია განათებული მაჩვენებლებით (მაგალითად: „EXIT” ), თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა.დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ასევე, წარმოადგინა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, რომელიც გაცემულია შპს ,,ზნეიპი”-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანოს ს/კ 400172200 მიერ. შენობის მდგრადობა დადასტურებულია შესაბამისი საექსპერტო დასკვნით შენობის ტექნიკური უსაფრთხოების თაობაზე. დასკვნა გაცემულია 2025 წლის 09 სექტემბერს, დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე. დასკვნის მიხედვით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

განხორციელებული ექსპერტიზის საფუძველზე დადასტურებულია, რომ კოლეჯის ფართის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.041.001.01.511) ტექნიკური მდგომარეობა ექსპლუატაციისთვის უსაფრთხოა და გაცემულია დადებითი რეკომენდაცია.

**აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებამ განაცხადი წარადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, სადაც შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2025 წლის მაისი-ივნისის პერიოდი,მაგრამ ვიზიტის პერიოდში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობა შესრულებული იყო და შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

დაწესებულებაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“ , რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს N61 ბრძანებით. აკადემია უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო ინვენტარით და გამოყოფილია შესაბამისი ოთახი. დაწესებულებას ჰყავს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია - პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ნომერი. ვიზიტის პერიოდში მოხდა გასაუბრება შესაბამის პასუხისმგებელ პირთან და დადასტურდა მისი ფუნქცია მოვალეობის ცონდა და კომპეტენცია.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

დაწესებულებას შემუშვებული და დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N47 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 10 სექტემბრის MIA 0 25 02937854 კორესპონდეცია,რომლის საფუძველზეც საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. კოლეჯში შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი, გაწერილია მათი ფუნქციები და საკონტაქტო ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია. ასევე დანიშნულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებზე პასუხისმგებელი პირი. კოლეჯის შენობაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა და გამაფრთხილებელი ნიშნები.

**აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებამ განაცხადი წარადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, სადაც შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2025 წლის მაისი-ივნისის პერიოდი,მაგრამ ვიზიტის პერიოდში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობა შესრულდა და შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

აკადემიაში მთელს ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა.დაწესებულების შენობა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ინფორმაციის შენახვის ფუნქციის მქონე 15 სათვალთვალო კამერით. გამოკრულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,ალგანთან“ , რომელიც საქართველოს კანონის ,,კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ შესაბამისად ახორციელებს აკადემიის დაცვასა და დაცვითი ტექნიკურისაშუალებების დაპროექტებას,მოტაჟს და ექსპლუატაციას. ვიზიტის პერიოდში მოხდა გასაუბრება კომპანია ,,ალგანის „ წარმომადენელთან და დაადასტურა, რომ დამონტაჟებულია და გამართულად ფუნქციონირებს სიგნალიზაციის სისტემა და უზრუნველყოფს ობიექტის დაცვას. ასევე დაწესებულებაში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგელი პირები არიან მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი და შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მენეჯერი. შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მენეჯერი ატარებს დაცვის ტექნიკური საშუალებების (ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო) ფუნქციონორების მონიტორინგს, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი მონიტორინგს უწევს დაცვის ტექნიკური საშუალებების (ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო) ფუნქციონორებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“;
- ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები“;
- დაწესებულების შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა ;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან 2025 წლის 10 სექტებრის MIA 0 25 02937854 კორესპონდეცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ----------------

---- -------- ----------

--

- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- შპს ,,ალგანთან“ გაფორმებული ხელშეკრულება“;
- გასუბრების შედეგი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  --------------------
---------  ----------------
---  --------  -----------
--

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით,მათი რაოდენობა საკმარისია და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. რაც შეეხება ინტერნეტმომსახურებას უზრუნველყოფილია იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა დაწესებულებაში ინტერნეტის არსებობა, მათ შორის, დაწესებულება უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ დაფარვით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

აკადემიაში დირექტორის 2023 წლის 08 აგვისტოს N66 ბრძანებით დამტკიცებულია ,, IT (ინფორმაციის ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები“. წინამდებარე მექანიზმი განსაზღვრავს შპს საზოგადოებრივ კოლეჯის „ Natali Academy“ ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების პოლიტიკას და ნორმებს, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის ყველა პროცესის ეფექტურ მართვას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვას. აკადემიას IT მომსახურების მიმართულებით ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანია „სკაიჰაისთან“. კომპანია აუსტორინგს წარმართავს ,, IT (ინფორმაციის ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები“ და ხელშერულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში მოხდა გასაუბრება კომპანიის წარმომადგენელთან და აღინიშნა, რომ ახორციელებს პერსონალური კომპიუტერების პროგრამულ განახლებას,ბეჭდური მოწყობილობების მხარდაჭერას, ტექნიკის პერიოდულ შემოწმებას და ანტივირუსული სისტემით შიდა ქსელის უსაფრთხოების დაცვას.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------ბ. ბერიძე----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ------------
--

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

აკადემია უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს N60 ბრძანებით ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“. აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად ხორციელდება პერსონალური მონაცემების დამუშავება და პერსონალურ მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორს, შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მენეჯერს, ასევე სხვადასხვა თანამშრომელს, სამუშაო აღწერილობა ავალდებულებს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. შრომისა უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მენეჯერს აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სერტიფიკატი და ახორციელებს თანამშრომელთა დატრენინგებას პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ინტერვიუ შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მენეჯერთან და დადასტურდა მისი მაღალი კომპეტენცია.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

დაწესებულება სისტემატურად ახორცილებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონიტორინგს, რაც გულისხმობს IT ინფრასტრუქტურის ტექნიკურ შეფასებას და შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციით (პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის კითხვარები) დასტურდება, რომ პერიოდულად ხდება საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შეფასება და განვითარება. გასაუბრების დროს მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობისა და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარებას. გასათვალისწინებელია 5.2.1.1 ინდიკატორის აღწერა და ანალიზი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

კოლეჯში დამტკიცებულია,, მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმები“ რომლითაც აკადემიის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ აკადემიის ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით.(მე-2 მუხლის 2.2 ქვეპუნქტი). ვიზიტისას პერსონალთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აქვთ კოლეჯის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებთან წვდომა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ---------------

---- -------- -----------
--

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

აკადემიაში ადმინისტრაციის, პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის ფუნქციონირებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა https://eflow.emis.ge/, ხოლო სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ვებ-გვერდის, ფეისბუქ- გვერდის, ელექტრონული ფოსტისა და საქართველოს ფოსტის საშუალებით. დამატებით აკადემიაში დანერგილია საკომუნიკაციო FACEBOOK და WHATSAPP პლატფორმა, როგორც თანამშრომლებისათვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც გამოიყენება კოლეჯის საქმიანობის, სასწავლო სიახლეების, ღონისძიებების და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გასავრცელებლად. კოლეჯი ასევე იყენებს შემდეგ პლატფორმებს: სოციალური ქსელები (LinkedIn, Facebook, Instagram, TikTok) –. სოციალური ქსელების მეშვეობით სტუდენტები, მასწავლებლები და დაინტერესებული პირები იღებენ აქტუალურ ინფორმაციას და ერთვებიან კოლეჯის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- ,, IT (ინფორმაციის ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები“;
- კომპანია ,,SKYHI“ თან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“;
- შრომისა უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მენეჯერის პირადი საქმე ;
- ,, ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“;
- პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალთა კითხვარები ;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგი;
- იჯარის ხელშეკრულება;
- ,, მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმები“
- ვებგვერდის და სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- -----------
--

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

აკადემიაში მოქმედებს დირექტორის 2024 წლის 08 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“, რომლის მიზანია აკადემიაში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენის, გაფორმების, აღრიცხვისა და რეგისტრაციის ხარისხის სრულყოფა და კოორდინაცია, მმართველობითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება. საქმისწარმოება აკადემიაში ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის https://eflow.emis.ge/ საშუალებით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია აკადემიის საქმისმწარმოებელი, რომლის ფუნქციები დარეგულირებულია დირექტორის 2023 წლის 04 ივლისის N48 ბრძანებით დამტკიცებული ,,თანამდებობრივი პოზიციების ფუნქციები-დებულება“ შესაბამისად. საქმისწარმოების წესის ანალიზით დადასტურებულია მისი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ვიზიტის დროს გადამოწმდა ძირითადი ადმინისტრაციული და თანამშრომელთა დანიშვნის ბრძანებები, შემოსული განცხადებები და სამსახურებრივი ბარათები, ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი და დადასტურებული საქმისწარმოების წესის დაცვა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

აკადემიაში მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა https://eflow.emis.ge/ .ასევე გამოიყენება მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა: teams, Google, office 365 , zoom და სხვა პლატფორმები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  ------------------

---------  ---------------

----  --------  -----------

--

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

დაწესებულებაში დირექტორი 2025 წლის 13 მაისის N49 ბრძანებით დამტკიცებულია ,,რეესტრის წარმოების წესი“,რომელიც არეგულირებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აკადემიის შესახებ იმ ინფორმაციის ასახვისა და სისტემატიზაციის საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, ადმინისტრაციული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხული პირების პერსონალური მონაცემების შესახებ და აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციასთან. აკადემიაში სასწავლო პროცესის მენეჯერი და საქმისმწარმოებელი ვალდებულნი არიან დადგენილ ვადებში შეიტანონ შესაბამისი ინფორმაცია სისტემაში. ისინი პასუხისმგებელნი არიან შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.გასაუბრებისა და სისტემის დათვალიერების (შემთხვევითობის პრინციპით რამდენიმე პროფესიული სტუდენტის სტატუსის ცვლილება, რამდენიმე ადმინისტრაციის და პროფესიული განათლების მასწავლებლის მონაცემები) შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება ახორციელებს ინფორმაციის დროულ ასახვას სისტემაში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

აკადემია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმდა რამდენიმე დაწესებულების მიერ მიღებული და გაგზავნილ კორესპონდენცია, დათვალიერებით დასტურდება კომუნიკაციის არსებობა კოლეჯსა და იმ დაინტერესებულ მხარეს შორის, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელია (მაგ: განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი).

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- --------------

---- -------- ----------
--

- საქმისწარმოების წესი;
- რეესტრის წარმოების წესი;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (e-flow) შემოწმების შედეგები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის EMIS.GE შემოწმების შედეგები;
- საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის მენეჯერი სამუშაო აღწერილობა;
- გასაუბრების შედეგები.

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.
   აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი (nataliacademy.ge) და სოციალური ქსელი (facebook – Natali Academy) ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გონივრულ ვადაში მიეწოდება დაინტერესებულ პირებს. ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, იგი ასევე წარმოადგენს საკომუნიკაციო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

პლატფორმას (უკუკავშირის შესაძლებლობა).ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრუქტურა, მისია, ხედვა, ღირებულებები, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ,პერსონალის შესახებ და სხვა.ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია. ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.
   ვებ-გვერდს გააჩნია როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ვერსია. (Nataliacademy.ge - ინგლისურენოვანი Nataliacademy.ge - რუსულენოვანი).
   **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.
   აკადემიის დირექტორის 2025 წლის 13 მაისის N50 ბრძანებით დამტკიცებულა ,,დაგეგმილი ღონისძიებები (PR გეგმა)" ,რომელიც განსაზღვრავს აკადემიის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წინამდებარე წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. აკადემია უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.
   დაწესებულება მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და ამასთავე უზრუნველყოფს მისი საქმიანობის სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რომლისთვისაც იყენებს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები). არსებული რეგულაციისა და ვებ-გვერდის შესწავლით დადასტურებულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

----  --------  -----------

--

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროგრმების კატალოგი განთავსებულია აკადემიის ვებ-გვერდზე: Nataliacademy.geრომელიც მოიცავს პროგრამების დასახელებას, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციებს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობაზე და ხანგრძლივობაზე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ვებ-გვერდზე Nataliacademy.ge პროგრამების კატალოგის განახლება ხდება ცვლილების შემთხვევაში, დაწესებულებას აგრეთვე საჯაროდ გამოქვეყნებული აქვს ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ მხარეს დაეხმარება პროგრამისა თუ სხვა ტექნიკური საკითხების დასადგენად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

აკადემია სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აკადემიის საკომუნიკაციო არხებიდან სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში იტვირთება EFLOW-ის სისტემაში, რათა მოხდეს დროული და ეფექტური რეაგირება შესაბამისი პასუხისმგებელი პირებიდან. წერილს ენიჭება ნომერი და ისაზღვრება რეაგირების ვადა, რომლის დაცვა ხორციელდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხიდან მიღებული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. ეს პროცესი უზრუნველყოფს ორგანიზაციის მუშაობის ოპტიმიზაციას და გაუმჯობესებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------

--

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- დაგეგმილი ღონისძიებები (PR გეგმა);
- პროგრამების კატალოგი;
- ვებ გვერდის ანალიზის შედეგი ;
- სოციალური ქსელების დათვალიერების შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- ----------- --

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.
 აკადემიაში ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ხდება აკადემიის ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით აქტივობების დაგეგმვა და პირიქით, ახალი მნიშვნელოვანი აქტივობის დაგეგმვის პროცესში ხდება შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შესაძლებლობებისა და წყაროების განსაზღვრა. ამგვარად, საერთო ჯამში,სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტების თანადაფინანსებითა და ვაუჩერული დაფინანსებით და ასევე, გააჩნია საკუთარი სახსრები (სხვადასხვა პროექტებისგან შემოსული თანხები).
 **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.
 აკადემიის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ და სტუდენტთა თანადაფინანსებული წყაროებიდან, რომელიც მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, ასევე მატერიალური რესურსებისა და ადმინისტრაციულ ხარჯებს. აკადემიას გააჩნია ფინანსური დოკუმენტაცია, ინვენტარის შესყიდვების, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია.
 **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
 დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, რაც დადასტურდა ფინანსური ანგარიშებით. კოლეჯის ფინანსური მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგენს აკადემიის ფინანსურ შედეგებს, მოცემულ რეპორტში, ნაჩვენებია ბალანსი, შემოსავლები, ხარჯები და სხვა ფინანსური მაჩვენებლები.
 **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

-----------------------
--

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.
   საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების მიზნით, აკადემია გეგმავს შემდეგი წლის აქტივობების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავებას და დაინტერესებულ მხარეებთა უკუკავშირის გათვალისწინებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- -----------
--

## ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ესთეტიკა და კანის მოვლა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ესთეტიკასა და კანის მოვლაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ,,Natali Academy" დირექტორის 10.07.2025 წლის N94 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი მ. კოსტავას N67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------------

---------------------------------

---------------------------------

--

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 79 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 109 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

---------------------------

-----------------------

--

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-----------------------------

 

-------------------------

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  ------------------

---------  ----------------

----  --------  ----------

--

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის დროს აკადემია ითვალისწინებს მისიასთან თავსებადობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და ადგილობრივ პრიორიტეტებს, სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (მეორადი კვლევის შედეგებს) და სხვ. წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან და გარე პირობებიდან გამომდინარე, არჩევს მაქსიმალურად თავსებად და ოპტიმალურ პროგრამებს. დაწესებულებას აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კანის მოვლა და სპა პროცედურები"სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. გამომდინარე იქედან, რომ განხორციელდა აღნიშნული პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ესეთიკა და კანის მოვლა" დამატების შესახებ , რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს და დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy მისიაა: მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სილამაზის ინდუსტრიის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისის შეთავაზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ესთეთიკა და კანის მოვლა " სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიას, რადგან მის ერთ- ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს სილამაზის ინდუსტრიის მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. საგანმანათლებლო პროგრამა „ესთეტიკა და კანის მოვლა " შინაარსობრივად, ითვალისწინებს იმ კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას, რომელიც დიდი აქტუალობით სარგებლობს დღევანდელ შრომის ბაზარზე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  -------------------

---------  ---------------

---- ---------- -----------
--

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

,,ესთეტიკა კანის მოვლა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy -ის დირექტორის 2025 წლის 10 ივლისის N94 ბრძანებით  განსაზღვრულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ მექანიზმში.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,  ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით: აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია,კერძოდ, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 მაისის N46 ბრძანებით „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: A და B გარემოს შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, C გარემოს შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას ან სასწავლო გარემოს ფართს.ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას;მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად  ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ორცვლიანი სწავლება.დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს  პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ესთეტიკა და კანის მოვლა“  პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის დასაბუთება. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 40 ადგილიანი კვოტა ორი მიღების ფარგლებში. დაწესებულებას გეგმავს 20-20 კაციანი ჯგუფების მიღებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,  ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- --------------

---- -------- ----------

--

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ესთეტიკა და კანის მოვლა", საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და გათვლილია ოცკაციან ჯგუფებზე. პროფესიულ მოდულებში მითითებულია სტანდატით გათვალისწინებული სარეკომენდაციო ლიტერატურა. სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია აკადემიაში . საგანმანათლებლო რესურსი - სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები და სპეციალური ლიტერატურა, ჩატვირთულია აკადემიის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ესთეტიკა და კანის მოვლა"დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 ივლისის N94 ბრძანებით. პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია აკადემიის დირექტორი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ესთეტიკა და კანის მოვლა“ შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - „ესთეტიკა და კანის მოვლა“.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ესთეტიკა და კანის მოვლა“ შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „ესთეტიკა და კანის მოვლა“ (სარეგისტრაციო ნომერი 10.5.1), ამასთან აკადემიამ წარმოადგინა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება შესაბამისი ოქმით, სადაც ნათლად სჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება.წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს - პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი და პროფესიული), სასწავლო გეგმა ქართული ენის A2/B1 -ის გათვალისწინებით და მის გარეშე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ----------------

---- -------- ----------
--

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები;
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- პროგრამის სამუშო ჯგუფის ოქმი;
- ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------- --

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით,ვიზიტის დროს დათვალიერდა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი სასწავლო ფართი, A-B-C გარემო,რომელიც აღჭურვილი იყო პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარითა,მატერიალური და აპარატურული აღჭურვილობით,რაც დადასტურდა შესაბამისი შესყიდვის მტკიცებულებებიტა და ვიზუალური დათვალიერებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განხორციელების მიზნით ჰყავს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი,მათ შორის 6-დარგობრივი,რომლებიც სასწავლო გეგმისა და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყობს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას,მასწავლებლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- --------------

---- -------- ----------

--

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; შემოწმდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია,შედგა გასაუბრება,რითაც დადასტურდა რომ პროფესიული განათლების თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან,რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც გასაუბრებით ასევე პირადი საქმის გაცნობით. პროგრამის ხელმძღვანელი კარგად აცნობიერებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და იცნობს თავის უფლება მოვალეობებს.

**ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა,ჰყავს ბიბლიოთეკარი,შემუშავებული და დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.სასწავლო რესუსრსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად ასევე მატერიალურად. შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა სასწავლო რესურსი და დადასტურდა ხელმისაწვდომობა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან,

რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ,დაწესებულბაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმის VI თავით დეტალურად აქვს გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. პროგრამის განხორციელებისთვის აკადემია იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას; ასევე სტუდენტების თანამონაწილეობის თანხა (პროგრამის მთლიანი ღირებულების 30%). დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს - შემოსავლების სახეობას და ხარჯების სახეობას. ხარჯების ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეულის უზრუნველყოფის ხარჯებს, ადმინისტრირების ხარჯებს, საქონელისა და მომსახურების ხარჯებს. შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- A-C-B გარემოს დათვალიერებით;
- სასწავლო მატერიალური რესუსრის შემოწმებით;
- მფლობელობის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტებით;
- განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საპროგნოზო ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი;
- ინტერიურება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  ------------------

---------  ----------------

----  --------  ------------
--

აკადემიაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N54 ბრძანებით (ბოლო ცვლილება N67 13.09.2024) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები", რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე" , ასევე დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები",რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით აკადემიაში მოქმედებს გამოკითხვის მეთოდები, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა კითხვარები (პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის; პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით) მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს ან/და დირექტორის მოადგილეს. კვლევების ანალიზის გარდა აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების გათვალისწინებაც. ასევე, პროგრამის შეფასების მიზნით, დაწესებულება ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რასაც დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებეული შრომის ბაზრის კვლევით. დაწესებულებამ ჩაატარა კვლევა თემაზე: „ ბაზრის კვლევა და მოთხოვნადი პროგრამების ანალიზი სილამაზის ინდუსტრიაში" , რომელიც მეტი საჯაროობისათვის განთავსებულია კოლეჯის ვებ. გვერძზეც. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დასტურდება შექმნილი დოკუმენტაციით: ოქმებით, შრომის ბაზრის კვლევით და ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

მოცემული ინდიკატორი ფასდება, მხოლოდ მექანიზმების დონეზე. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები", რომლის მე-5 მუხლი არეგულირებს პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- -----------------

---- -------- -----------
--

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცედურას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, აკადემიის ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი პროგრამის ხელძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების გამოყენებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარების კუთხით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა: ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ე) ვერიფიკაცია.  საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, პროგრამების შეფასება შესაძლოა უკავშირდებოდეს: ა) თემატიკის გამრავალფეროვნებას ბ) სასწავლო მეთოდების შეცვლას გ) საათების გადანაწილებას დ)სასწავლო რესურსის შეცვლას ე) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, აკადემიის ძირითადი დამსაქმებლის, შპს ,,Natali Group“ თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც ჩართულნი არიან აკადემიის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროცესში, წელიწადში ერთხელ აკადემიაში მართავენ შეხვედრას, რათა მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას დამდგარი საკითხების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა და საჭიროებისას, ხარისხის ურუნველყოფის მენეჯერი აკადემიის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები ხორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY  დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“,მე-2  მუხლის შესაბამისად. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება პროგრამაში, მის თანმდევ დოკუმენტებში, კატალოგში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეცნობება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,  ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული კვლევები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- გასაუბრების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

----  --------  ------------
--

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.
   შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები", რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები.კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  ------------------

---------  ----------------

----  --------  ----------
--

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.
   შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები" რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მაგალითად, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით, აკადემიაში სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობს ორცვლაში. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება.შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების" მე-6 თავით დეტალურადაა გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი.

   **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.
   პროგრამა ხორციელდება მოდულებში მითითებული სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კოლეჯი პერმანენტულად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას სწავლების თანამედროვე მეთოდების ასათვისებლად და სასწავლო პროცესში გამოყენებისთვის. პროგრამა კი აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების სწავლებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში.

   **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  -------------------

---------  ----------------

----  --------  -----------

--

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“ განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, აკადემიაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. აკადემიის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობაში შედიან - სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირი და დირექტორის მოადგილე, ასევე შეიძლება განსაზღვრული იყოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა აკადემიის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია აკადემიის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.
აკადემიის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „Natali Group“ და შპს „დეკა“ -სთან,რომლის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,ესთეტიკა და კანის მოვლა“ სასწავლო ექსკურსიების დაგეგმვა/განხორციელებას, ამასთანავე სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მხარდაჭერასა და საუკეთესო კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში AC გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დამუხტული ცეცხლმაქრები, გამოკრულია უსაფრთხოების წესები ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები და უბედური შემთხვევის დროს მოქმედების წესები. აღნიშნულ გარემო უზრუნველყოფილია სველი წერტილით, ბუნებრივი განიავებითა და განათებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის № 51 04.11.2022 ბრძანებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  --------------------

---------  ----------------

----  --------  -----------
--

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები";
- შპს „Natali Group" და შპს „დეკა" -სთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები",
- გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში". წინამდებარე მექანიზმის შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის  მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების  ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის მენეჯერს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და დარგის სპეციალისტს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით  განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, გასაჩივრებისა და აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს.  აქვე აღწერილია, თუ როგორ  იქცევა სტუდენტი განმსაზღვრელი შედეგის უარყოფითი შეფასების მიღებისას,  სტუდენტთა კონსულტირება, კვალიფიკაციის  მინიჭება და მტკიცებულებების შენახვა. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან  დაკავშირებული რეგულაციების მიხედვით.ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.
**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,  ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მიზნით აკადემიაში მოქმედებს მოქმედებს  დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის  N54 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“,რომის მე-7 მუხლით განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცედურა.

**შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებია:**

- ნამდვილობის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა;
- შეფასების, შემოწმების პროცედურა;
- სტანდარტის შედარება ფაქტებთან, არსებულ ვითარებასთან;

**შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:**

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ------------------

---- -------- -----------
--

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია დარგის სპეციალისტები. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობას; ობიექტურობას. შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. აკადემიის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს აკადემიის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით.

ვიზიტის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს სადაც დაფიქსირებულია რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებაში. (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. წინამდებარე მექანიზმის მიხედვით შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით" აკადემიაში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან და სწავლის შედეგებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

--------------------------

----------------------------
--

დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება მათი განვითარების კუთხითაც. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
- ვერიფიკაციის მასალები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ----------------

---- -------- -----------

--

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I.ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზისო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ,,Natali Academy“ დირექტორის 2025 წლის 07 მაისის N000000045 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | მერაბ კოსტავას 67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- -----------

--

| | |
|---|---|
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 24 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 51 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |

**I. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

-------------------------

-------------------------

--

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**
***ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------------

--------------------------------

--------------------------------

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ----------------

---- -------- ----------
--

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ----------------

---- -------- ----------
--

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის დროს აკადემია ითვალისწინებს მისიასთან თავსებადობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და ადგილობრივ პრიორიტეტებს, სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (მეორადი კვლევის შედეგებს) და საკუთარი,როგორც სილამაზისა და ესთეტიკის მიმართულების სფეროს ბიზნესდამსაქმებლის მოთხოვნებს; წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან და გარე პირობებიდან გამომდინარე, არჩევს მაქსიმალურად თავსებად და ოპტიმალურ პროგრამებს. ამიტომაც დაწესებულება შრომის ბაზრის კვლევის შედეგებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზის გათვალისწინებით, უკვე წლებია ახორციელებს ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy მისიაა: მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სილამაზის ინდუსტრიის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისის შეთავაზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“ სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიას, რადგან მის ერთ- ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს სილამაზის ინდუსტრიის მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი “ შინაარსობრივად, ითვალისწინებს იმ კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას, რომელიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს დღევანდელ შრომის ბაზარზე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------------

--------------------------

-------------------------

--

**ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy -ის დირექტორის 2025 წლის 07 მაისის N 00000045 ბრძანებით დამტკიცებული ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი" პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. აღნიშნული თანხვედრაშია ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი" პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy -ის დირექტორის 2025 წლის პირველი მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ მექანიზმებში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით: კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, კერძოდ, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 მაისის N46 ბრძანებით „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: A და B გარემოს შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, C გარემოს შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას ან სასწავლო გარემოს ფართს.

ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

------------------------

-----------------------
--

დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ორცვლიანი სწავლება. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის დასაბუთება. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 24 ადგილიანი კვოტა ორი მიღების ფარგლებში. დაწესებულებას გეგმავს 12-12 კაციანი ჯგუფების მიღებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და გათვლილია ოცკაციან ჯგუფებზე. პროფესიულ მოდულებში მითითებულია სტანდატით გათვალისწინებული სარეკომენდაციო ლიტერატურა. სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია აკადემიაში. საგანმანათლებლო რესურსი-სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები და სპეციალური ლიტერატურა, ჩატვირთულია აკადემიის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ----------------

---- -------- -----------

--

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 07 მაისის No 00000045 ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია აკადემიის დირექტორი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“ შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“. ამასთან, აკადემიამ წარმოადგინა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება შესაბამისი ოქმით, სადაც ნათლად სჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს - პროგრამის ძირითადი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  ------------------

---------  ----------------

----  --------  -----------

--

დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი, საერთო დარგობრივი და პროფესიული), სასწავლო გეგმა ქართული ენის A2 -ის გათვალისწინებით და მის გარეშე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები;
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- პროგრამის სამუშო ჯგუფის ოქმი;
- ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

3. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
4. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
5. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
6. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
7. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
8. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევას და სხვადასხვა ესთეტიკის ცენტრებისა თუ სალონების მომართვიანობას, რა მიზნითაც აკადემიის არსებული რესურსების შეფასების შედეგად განსაზღვრულ იქნა, 24 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 9,5 თვე (38 კვირა), არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 13.5 თვე (53 კვირა). აკადემია გეგმავს წელიწადში 24 პროფესიული სტუდენტის 2 ჯგუფად (ჯგუფში 12-12 პროფესიული სტუდენტი) მიღებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსის შესაძლებლობების/გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემოები: A გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია , სადაც განთავსებულია 12



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ---------------

---- -------- ------------

პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა და სკამი, დაფა, კომპიუტერი და პროექტორი; B გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 12 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, დაფა,პროექტორი;C სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სივრცე. აკადემიის მიერ პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი-აღჭურვილობის ფლობის დადასტურების მიზნით არსებობს სასაქონლო ზედნადებები და მიღება- ჩაბარების აქტები, როლითაც ივვეთება, რომ პროგრამის ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა ნამდვილად დაწესებულების საკუთრებაა.დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. გასათვალისწინებელია, რომ აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 მაისის N46 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 2 პირია განსაზღვრული, ზოგადი და საერთო დარგობრივი მოდულებისთვის 14 პირი. სასწავლო გეგმის, განმახორციელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის და მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყობს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას,მასწავლებლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

**ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; შემოწმდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------[signature]-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----[signature]-------------------

---------[signature]----------------

----[signature]--------[signature]------------

დოკუმენტაცია,შედგა გასაუბრება,რითაც დადასტურდა რომ პროფესიული განათლების თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან,რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც გასაუბრებით ასევე პირადი საქმის გაცნობით. პროგრამის ხელმძღვანელი კარგად აცნობიერებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და იცნობს თავის უფლება მოვალეობებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა,ჰყავს ბიბლიოთეკარი,შემუშავებული და დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.სასწავლო რესუსრსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად ასევე მატერიალურად. შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა სასწავლო რესურსი და დადასტურდა ხელმისაწვდომობა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ,დაწესებულბაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმის VI თავით დეტალურად აქვს გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. პროგრამის განხორციელებისთვის აკადემია იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას; ასევე სტუდენტების თანამონაწილეობის თანხა (პროგრამის მთლიანი ღირებულების 30%). დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს - შემოსავლების სახეობას და ხარჯების სახეობას. ხარჯების ნაწილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- --------------

---- -------- ----------
--

ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეულის უზრუნველყოფის ხარჯებს, ადმინისტრირების ხარჯებს, საქონელისა და მომსახურების ხარჯებს. შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- A-C-B გარემოს დათვალიერებით;
- სასწავლო მატერიალური რესუსრის შემოწმებით;
- მფლობელობის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტებით;
- განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საპროგნოზო ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი;
- ინტერიურება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

-------------------------

-----------------------

--

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

აკადემიაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N54 ბრძანებით (ბოლო ცვლილება N67 13.09.2024) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ , ასევე დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  --------------------

---------  ----------------

---- -------- -----------

--

მექანიზმები“,რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით აკადემიაში მოქმედებს გამოკითხვის მეთოდები, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა კითხვარები (პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის; პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით) მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს ან/და დირექტორის მოადგილეს. კვლევების ანალიზის გარდა აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების გათვალისწინებაც. ასევე, პროგრამის შეფასების მიზნით, დაწესებულება ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რასაც დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებეული შრომის ბაზრის კვლევით. დაწესებულებამ ჩაატარა კვლევა თემაზე: ,, ბაზრის კვლევა და მოთხოვნადი პროგრამების ანალიზი სილამაზის ინდუსტრიაში“ , რომელიც მეტი საჯაროობისათვის განთავსებულია კოლეჯის ვებ. გვერძზეც. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დასტურდება შექმნილი დოკუმენტაციით: ოქმებით, შრომის ბაზრის კვლევით და ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

მოცემული ინდიკატორი ფასდება, მხოლოდ მექანიზმების დონეზე. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“, რომლის მე-5 მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცედურას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, აკადემიის ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი პროგრამის ხელძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების გამოყენებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარების კუთხით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა: ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; ბ) სწავლა-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- ----------
--

სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ე) ვერიფიკაცია. საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, პროგრამების შეფასება შესაძლოა უკავშირდებოდეს: ა) თემატიკის გამრავალფეროვნებას ბ) სასწავლო მეთოდების შეცვლას გ) საათების გადანაწილებას დ)სასწავლო რესურსის შეცვლას ე) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, აკადემიის ძირითადი დამსაქმებლის, შპს შპს ,,Natali Group" თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც ჩართულნი არიან აკადემიის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროცესში, წელიწადში ერთხელ აკადემიაში მართავენ შეხვედრას, რათა მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას დამდგარი საკითხების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა და საჭიროებისას, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი აკადემიის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები ხორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები",მე-2 მუხლის შესაბამისად. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება პროგრამაში, მის თანმდევ დოკუმენტებში, კატალოგში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეცნობება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები";
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები";
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული კვლევები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- [signature] ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- [signature] ------------------

--------- [signature] ---------------

---- [signature] -------- [signature] ----------
--

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“, რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები.კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

**ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“ რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მაგალითად, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით, აკადემიაში სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობს ორცვლაში. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება.შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების“ მე-6 თავით დეტალურადაა გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.
   პროგრამა ხორციელდება მოდულებში მითითებული სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კოლეჯი პერმანენტულად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას სწავლების თანამედროვე მეთოდების ასათვისებლად და სასწავლო პროცესში გამოყენებისთვის. პროგრამა კი აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების სწავლებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში.
   **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.
   აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“ განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, აკადემიაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. აკადემიის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობაში შედიან - სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირი და დირექტორის მოადგილე, ასევე შეიძლება განსაზღვრული იყოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა აკადემიის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია აკადემიის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

აკადემიის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „Natali Group“ და შპს „დეკა“ -სთან,რომლის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“ სასწავლო ექსკურსიების დაგეგმვა/განხორციელებას, ამასთანავე სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მხარდაჭერასა და საუკეთესო კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში AC გარემოში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დამუხტული ცეცხლმაქრები, გამოკრულია უსაფრთხოების წესები ლაბორატორიაში, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები და უბედური შემთხვევის დროს მოქმედების წესები. აღნიშნულ გარემო უზრუნველყოფილია სველი წერტილით, ბუნებრივი განიავებითა და განათებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის № 51 04.11.2022 ბრძანებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
- შპს „Natali Group“ და შპს „დეკა“ -სთან გაფორმებული ხელშეკრულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- ----------

--

- „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები“,
- გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში“. წინამდებარე მექანიზმის შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის მენეჯერს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და დარგის სპეციალისტს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, გასაჩივრებისა და აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  --------------------

---------  ---------------

----  --------  ------------

განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. აქვე აღწერილია, თუ როგორ იქცევა სტუდენტი განმსაზღვრელი შედეგის უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტთა კონსულტირება, კვალიფიკაციის მინიჭება და მტკიცებულებების შენახვა. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების მიხედვით.ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მიზნით აკადემიაში მოქმედებს მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N54 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“,რომის მე-7 მუხლით განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცედურა.

**შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებია:**

- ნამდვილობის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა;
- შეფასების, შემოწმების პროცედურა;
- სტანდარტის შედარება ფაქტებთან, არსებულ ვითარებასთან;

**შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:**

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  -------------------

---------  ----------------

----  --------  -----------
--

პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია დარგის სპეციალისტები. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობას; ობიექტურობას. შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. აკადემიის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს აკადემიის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით.

ვიზიტის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს სადაც დაფიქსირებულია რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებაში. (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. წინამდებარე მექანიზმის მიხედვით შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით“ აკადემიაში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან და სწავლის შედეგებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება მათი განვითარების კუთხითაც. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
- ვერიფიკაციის მასალები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  ------------------

---------  ----------------

---  --------  ----------

--

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**I.ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სტილისტი |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ,,Natali Academy“ დირექტორის 2025 წლის 07 მაისის N000000045 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, მ. კოსტავას N67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

| | |
|---|---|
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 28 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |

**1 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------
---------------------------
-------------------------
--

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

.................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................................

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**
***ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------
--

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  --------------------

---------  ----------------

-----------------------

--

| | | |
|---|---|---|
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის დროს აკადემია ითვალისწინებს მისიასთან თავსებადობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და ადგილობრივ პრიორიტეტებს, სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (მეორადი კვლევის შედეგებს) და საკუთარი,როგორც სილამაზისა და ესთეტიკის მიმართულების სფეროს ბიზნესდამსაქმებლის მოთხოვნებს; წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან და გარე პირობებიდან გამომდინარე, არჩევს მაქსიმალურად თავსებად და ოპტიმალურ პროგრამებს. ამიტომაც დაწესებულება შრომის ბაზრის კვლევის შედეგებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზის გათვალისწინებით, უკვე წლებია ახორციელებს ,,სტილისტის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.პროფესიული სტანდარტის „თმისა და სილამაზის მომსახურება"-შესაბამისად.
შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy მისიაა: მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სილამაზის ინდუსტრიის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისის შეთავაზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,,სტილისტი" სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიას, რადგან მის ერთ- ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს სილამაზის ინდუსტრიის მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. საგანმანათლებლო პროგრამა „სტილისტი" შინაარსობრივად, ითვალისწინებს იმ კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას, რომელიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს დღევანდელ შრომის ბაზარზე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------------------------

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy -ის დირექტორის 2025 წლის 07 მაისის N 00000045 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტილისტი" პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. აღნიშნული თანხვედრაშია ,,თმისა და სილამაზის მომსახურების" პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy -ის დირექტორის 2025 წლის პირველი მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ მექანიზმებში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით: კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, კერძოდ, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 მაისის N46 ბრძანებით „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: A და B გარემოს შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, C გარემოს შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას ან სასწავლო გარემოს ფართს,ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.დაწესებულებას პროფესიული მოდულების განსახორციელებლად ჰყავს ოთხი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- -----------

--

მხედველობაში მიიღება ორცვლიანი სწავლება. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სტილისტი“პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის დასაბუთება,რითაც დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 28 ადგილიანი კვოტა ორი მიღების ფარგლებში. დაწესებულებას გეგმავს 14-14 სტუდენტის მიღებას ერთ ჯგუფში.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

სასწავლო რესურსი წარმოდგენილია,როგორც მატერიალური,ასევე ელექტრონული სახით.გარდა დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო ელ.რესურსისა, წარმოდგენილია ევროპული ქვეყნების მიერ რეკომენდირებული სასწავლო მასალა. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია აკადემიაში. საგანმანათლებლო რესურსი- სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები და სპეციალური ლიტერატურა, ჩატვირთულია აკადემიის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

2.1.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, *სტუდენტებთან* გაფორმებულია წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე,მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი ვერ აცნობიერებენ მის მნიშვნელობას,ვინაიდან მომსახურების სფერო ამ მხრივ არის უამრავი პირადი ინფორმაციის მატარებელია,სასურველია, სასწავლო თემატიკაში პროფესიული სტუდენტებისათვის დაემატოს -პერსონალურ მონაცემთა დაცვა და მომხმარებლის კონფედეციალურობა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სტილისტი"დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 07 მაისის No 00000045

ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია აკადემიის დირექტორი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy -ის დირექტორის 2025 წლის 07 მაისის N 00000045 ბრძანებით დამტკიცებული ,,ვიზაჟისტი"ს პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. აღნიშნული თანხვედრაშია ,,თმისა და სილამაზის სპეციალისტი" პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy -ის დირექტორის 2025 წლის პირველი მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ მექანიზმებში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულა საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით: კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, კერძოდ, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 მაისის N46 ბრძანებით „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას კოლეჯი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: A და B გარემოს შემთხვევაში პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, C გარემოს შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას ან სასწავლო გარემოს ფართს. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ორცვლიანი სწავლება. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვიზაჟისტი"პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის დასაბუთება. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 40 ადგილიანი კვოტა ორი მიღების ფარგლებში. დაწესებულებას გეგმავს 20-20 კაციანი ჯგუფების მიღებას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვიზაჟისტი", საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა/ხელსაწყოიარაღები/დანადგარები/გამოსაყენებელი მასალები და მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და გათვლილია მოთხოვნილი კვოტის შესაბამისად. პროფესიულ მოდულებში მითითებულია სტანდატით გათვალისწინებული სარეკომენდაციო ლიტერატურა. სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო გარემოში, საგანმანათლებლო რესურსი- სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები და სპეციალური ლიტერატურა, ჩატვირთულია აკადემიის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

------------------------

--------------------------

ბიბლიოთეკის ელექტრონულ ფაილებად და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.ექსპერტების მიერ ადგილზე გადამოწმდა და გაიხსა ფაილები,რითაც დადასტურდა მათი ხელმისაწვდომობა.

2.1.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, *სტუდენტებთან* გაფორმებულია წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე,მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი ვერ აცნობიერებენ მის მნიშვნელობას,ვინაიდან მომსახურების სფერო ამ მხრივ არის უამრავი პირადი ინფორმაციის მატარებელია,სასურველია, სასწავლო თემატიკაში პროფესიული სტუდენტებისათვის დაემატოს -პერსონალურ მონაცემთა დაცვა და მომხმარებლის კონფედეციალურობა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟისტი“დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 07 მაისის No 00000045 ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია აკადემიის დირექტორი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------

--

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება,,ვიზაჟისტი"შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - ,,თმისა და სილამაზის მომსახურება".

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟისტი" შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი" თმისა და სილამაზის მომსახურება". ამასთან, აკადემიამ წარმოადგინა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება შესაბამისი ოქმით, სადაც ნათლად სჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს - პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი, საერთო დარგობრივი და პროფესიული), სასწავლო გეგმა ქართული ენის A2 -ის გათვალისწინებით და მის გარეშე.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy სტრატეგიული განვითარების გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ----------

--

- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები;
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- პროგრამის სამუშო ჯგუფის ოქმი;
- ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ----------------

---- -------- ----------
--

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულების მიერ,პროგრამისათვის გამოყოფილ სასწავლო გარემოში,მათი მფლობელობა დასტურდება შესყიდვის დოკუმენტაციით,ხოლო რაოდენობრივად გათვალისწინებულია მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ვიზაჟისტი", პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას და სხვადასხვა ესთეტიკის ცენტრებისა თუ სალონების მომართვიანობას, რა მიზნითაც აკადემიის არსებული რესურსების შეფასების შედეგად განსაზღვრულ იქნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსის და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობების/გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. აკადემიას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს „Natali Group", რომლებიც უზრუნველყოფს ,,ვიზაჟისტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესების გაუმჯობესებას და სტუდენტების მოტივაციას.

2.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით. დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია, *სასურველია პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა სახეობის და უფრო მრავალფეროვანი პროდუქცია ქონდეთ გაცნობის მიზნით და სასწავლო პროცესი იყოს,როგორც ბაზრის აქტიური პროფესიული პროდუქციის შესწავლის წყარო . მართალია ეს საკითხი არ ეწინააღმდეგება სტანდარტს,პროგრამას და მისი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ---------------

------------ -----------

--

*განხორციელების ხარისხს,არ აქვს ზეგავლენა სწავლის შედეგების მიღწევაზე,მაგრამ სასურველია კურსდამთავრებული მზად იყოს ბაზარზე ყველაზე მეტად აქტიურად გამოყენებად პროდუქციაზე სამუშაოდ და არ დაჭირდეს დამატებითი დრო და რესურსი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.*

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**
პროგრამის ,,ვიზაჟისტი"განხორციელებაში ჩართულია 3 (სამი) პროფესიული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი' ზოგადი და საერთო დარგობრივი მოდულებისთვის- 14; სასწავლო გეგმისა და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყობს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას,მასწავლებლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიული სტუდენტთათვის სწავლების, შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;შემოწმდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია,შედგა გასაუბრება,რითაც დადასტურდა რომ პროფესიული განათლების თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**
საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი,რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა,იცის და იცნობს საკუთარ ფუნქცია მოვალეობებს; ვიზიტისას შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან,რომლის კომპეტენტურობა დადასტურდა ექსპერტთა მიერ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა,ჰყავს ბიბლიოთეკარი,შემუშავებული, დამტკიცებული დირექტორის მიერ და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი სასწავლო რესუსრსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონულად ასევე მატერიალურად. შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა სასწავლო რესურსი და დადასტურდა ხელმისაწვდომობა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ,დაწესებულბაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმის VI თავით დეტალურად აქვს გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. პროგრამის განხორციელებისთვის აკადემია იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას; ასევე სტუდენტების თანამონაწილეობის თანხა (პროგრამის მთლიანი ღირებულების 30%). დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს - შემოსავლების სახეობას და ხარჯების სახეობას. ხარჯების ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეულის უზრუნველყოფის ხარჯებს, ადმინისტრირების ხარჯებს, საქონელისა და მომსახურების ხარჯებს. შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------[signature]-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----[signature]--------------------

---------[signature]---------------

----[signature]--------[signature]-------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- A-C-B გარემოს დათვალიერებით;
- სასწავლო მატერიალური რესუსრის შემოწმებით;
- მფლობელობის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტებით;
- განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საპროგნოზო ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი;
- ინტერიურება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  --------------------

---------  ----------------

----  --------  ------------

--

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

აკადემიაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N54 ბრძანებით (ბოლო ცვლილება N67 13.09.2024) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ , ასევე დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“,რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით აკადემიაში მოქმედებს გამოკითხვის მეთოდები, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა კითხვარები (პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------
--------- ----------------
---- -------- -----------
--

განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის; პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით) მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადგენს რეკომენდაციებს, ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს ან/და დირექტორის მოადგილეს. კვლევების ანალიზის გარდა აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების გათვალისწინებაც. ასევე, პროგრამის შეფასების მიზნით, დაწესებულება ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რასაც დასტურდება დაწესებულების მიერ ჩატარებეული შრომის ბაზრის კვლევით. დაწესებულებამ ჩაატარა კვლევა თემაზე: ,, ბაზრის კვლევა და მოთხოვნადი პროგრამების ანალიზი სილამაზის ინდუსტრიაში" , რომელიც მეტი საჯაროობისათვის განთავსებულია კოლეჯის ვებ. გვერძზეც. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დასტურდება შექმნილი დოკუმენტაციით: ოქმებით, შრომის ბაზრის კვლევით და ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

მოცემული ინდიკატორი ფასდება, მხოლოდ მექანიზმების დონეზე. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები", რომლის მე-5 მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცედურას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, აკადემიის ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი პროგრამის ხელმღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების გამოყენებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარების კუთხით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა: ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ე) ვერიფიკაცია. საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, პროგრამების შეფასება შესაძლოა უკავშირდებოდეს: ა) თემატიკის გამრავალფეროვნებას ბ) სასწავლო მეთოდების შეცვლას გ) საათების გადანაწილებას დ)სასწავლო რესურსის შეცვლას ე) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, აკადემიის ძირითადი დამსაქმებლის, შპს ,,Natali Group" თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც ჩართულნი არიან აკადემიის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- -------------------

--------- ----------------

---- -------- -----------

--

სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროცესში, წელიწადში ერთხელ აკადემიაში მართავენ შეხვედრას, რათა მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას დამდგარი საკითხების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა და საჭიროებისას, ხარისხის ურუნველყოფის მენეჯერი აკადემიის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები ხორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“,მე-2 მუხლის შესაბამისად. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება პროგრამაში, მის თანმდევ დოკუმენტებში, კატალოგში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეცნობება ცენტრს.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ჩატარებული კვლებები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4. ასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები", რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები.კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.
   შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები" რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  ------------------

---------  ---------------

----  --------  ----------
--

საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მაგალითად, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით, აკადემიაში სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობს ორცვლაში. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება.შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების“ მე-6 თავით დეტალურადაა გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.
   პროგრამა ხორციელდება მოდულებში მითითებული სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კოლეჯი პერმანენტულად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას სწავლების თანამედროვე მეთოდების ასათვისებლად და სასწავლო პროცესში გამოყენებისთვის. პროგრამა კი აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების სწავლებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში.
   **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“ განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, აკადემიაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. აკადემიის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობაში შედიან - სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირი და დირექტორის მოადგილე, ასევე შეიძლება განსაზღვრული იყოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ---------------

---- -------- -----------

--

პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა აკადემიის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია აკადემიის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

აკადემიის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „Natali Group“ და შპს „დეკა“ -სთან,რომლის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,ვიზაჟისტი“ სასწავლო ექსკურსიების დაგეგმვა/განხორციელებას, ამასთანავე სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მხარდაჭერასა და საუკეთესო კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სპეციფიკური უსაფრთხოების წესის შემუშავების საჭიროება არ დგას. თუმცა, წესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის №48 13.05.2025 ბრძანებით. ასევე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დამუხტულია ცეცხლმაქრები.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
- შპს „Natali Group“ და შპს „დეკა“ -სთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები“,
- გასაუბრების შედეგები.

**2.4.2.შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- ------------
--

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში“. წინამდებარე მექანიზმის შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის მენეჯერს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და დარგის სპეციალისტს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, გასაჩივრებისა და აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- -----------
--

მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. აქვე აღწერილია, თუ როგორ იქცევა სტუდენტი განმსაზღვრელი შედეგის უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტთა კონსულტირება, კვალიფიკაციის მინიჭება და მტკიცებულებების შენახვა. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების მიხედვით.ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მიზნით აკადემიაში მოქმედებს მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N54 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები",რომის მე-7 მუხლით განსაზღვრულია ვერიფიკაციის პროცედურა.

**შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებია:**

- ნამდვილობის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა;
- შეფასების, შემოწმების პროცედურა;
- სტანდარტის შედარება ფაქტებთან, არსებულ ვითარებასთან;

**შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:**

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია დარგის სპეციალისტები. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობას; ობიექტურობას. შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------  -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  -------------------

---------  ----------------

----  --------  -----------

--

აკადემიის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს აკადემიის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით.

ვიზიტის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს სადაც დაფიქსირებულია რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებაში. (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. წინამდებარე მექანიზმის მიხედვით შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით" აკადემიაში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება მათი განვითარების კუთხითაც. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- ------------------

--------- ---------------

---- -------- ---------- --

- „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
- ვერიფიკაციის მასალები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კანის მოვლა და სპა პროცედურები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----  -------------------

---------  ----------------

---- -------- -----------

--

| | |
|---|---|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, მ. კოსტავას  N67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 22 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 59 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 74 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------------

---------------------------------

-------------------------------------

--

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

10.10.2025

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----- --------------------

--------- ----------------

---- -------- -----------

--